ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 27 დეკემბერი 2002 №248 (1770) | ფასი 50 თეთრი




REUTERS

ჩელსი — საუთჰემპტონი 0:0. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა ბურთი საუთჰემპტონელებსაც აარიდა და კარსაც

# ახალ წელს ბურთი გოჭივით გაძვირდება

## ასანიძის შტანგა-გოლი სპორტის სასახლეში

*თამაშობენ, თამაშობენ! — ახალი წლის დადგომამდე ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა, ქართველები კი მაინც თამაშობენ ფეხბურთს. ერთი ეგაა, ქართული საფეხბურთო გეოგრაფია სპორტის სასახლეში და ბრიტანეთის კუნძულებზე ეტევა.*

*ინგლისის პირველ დივიზიონში ერთი ტაიმი ითამაშა გიორგი ქინქლაძემ და მისი „დერბი ქაუნთი" „გრიმსბისთან" დამარცხდა.*

*შოტლანდიურ პრემიერლიგაში დანდელმა ზურაბ ხიზანიშვილმა სრულად ითამაშა „აბერდინთან" და მანაც წააგო.*

*იმავ სქოთურ ლიგაში შოთა არველაძე საერთოდ არ გასულა მოედანზე და დახეთ, მისი „რეინჯერსიც" დამარცხდა — „მოზერუელი" პირველი გუნდი შეიქნა, ვინაც ამ სეზონში გლაზგოელთა ჯობნა შეძლო.*

*სპორტის სასახლეში კი, ბენდელას თასზე, გუშინ ოთხი ქართული გუნდი დამარცხდა, მაგრამ რაკი აქ ყველანი ქართველები არიან, ამდენივე ქართული გუნდი სადღეისო ნახევარფინალში გავიდა.*

*დარტყმა, არის! გიორგი ასანიძემ, შტანგას რომ აჰკრავს ხოლმე, ისევე ძლიერად დაჰკრა ბურთს ფეხი და მორაგბეთა საფეხბურთო გუნდს გაუტანა. ეს თამაშიც ბენდელას თასისა იყო.*

# რივალდო ახლაც ბარსელონაშია

*ხმელი, ფეხებდაგრეხილი, თითქოს ზოზინა, თითქოს ზარმაცი... მოხერხებული, არაადამიანურად მოქნილი, ღრუბელივით რბილი და მოედანზეც ვითომდა უდარდელი.*

*მისი დარტყმა მხოლოდ მისი დარტყმაა, ასე ვერავინ და არავინ დაარტყამს. მისი პასი მხოლოდ მისი პასია, ვერავინ მოახერხებს მისი ხერხებით ბურთის გადაცემას. მისი დრიბლინგი ხომ მხოლოდ მისია და მეტი არავისი.*

### რივალდო კალაძეზე

კალაძესავით კეთილ და მხიარულ ბიჭს იშვიათად შევხვედრივარ. მასთან ვმეგობრობ, ხშირად ერთად ვვახშმობთ. მილანში ახალჩამოსულს გუნდთან და ქალაქთან შეგუება კახამაც გამიიოლა, ქალაქი დამათვალიერებინა, თანაგუნდელებისა და კლუბში მომუშავეთა გაცნობაში დამეხმარა.

კალაძის გაცნობის შემდეგ გავიგე, რომ არის ასეთი ქვეყანა – საქართველო, რომელიც შავი ზღვის პირას მდებარეობს. მილანში ჩამოსვლამდე თქვენს ქვეყანაზე წარმოდგენაც არ მქონდა

### კალაძე რივალდოზე

სიღარიბეში გაზრდილი, ძალიან კეთილი ბიჭია. მის ხმას ვერ გაიგებთ. მცივანაა და სულ თბილად აცვია. ისე, საშინლად ზარმაცია, ვარჯიშისას, უბურთოდ თუ დარჩა, მაშინვე მინდორზე წამოგორდება

### რივალდო ბარსელონაზე

„ბარსელონასთვის" გამოუსადეგართა შორის მეც აღმოვჩნდი, ეს ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. ბარსელონა ჩემთვის უსაყვარლესი ქალაქია და ვწუხვარ, რომ ხშირად ველარ ვახერხებ იქ ჩასვლას. კატალონიასთან ტკბილი მოგონებებიღა მაკავშირებს




**ხვალინდელ სარბიელში** — **კობა ინასარიძის ექსკლუზიური ინტერვიუ რივალდოსთან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არველაძე პორტუგალიაში გამოიზამთრებს



ვესტ ბრომვიჩი 1:2 არსენალი. პატრიკ ვიეირა მასპინძელმა დანიელე დიჩიომ ჰაერში დაჯაბნა

## ქართველის პირველი ქართულ შობაზე

**არჩილ არველაძის** „კიოლნს", რომელიც ბუნდესლიგაში დაბრუნებას ეშურება და მეორე ბუნდესლიგას ლიდერობს, არდადეგები 2 იანვარს უმთავრდება.

კიოლნელთა 29 წლის ქართველი შემტევი შვებულებას თბილისში ატარებს და ახალ წელსაც კარგ განწყობაზე შეხვდება — მუხლზე ხრტილის გადანერგვის ოპერაციის შემდეგ უკვე სრულად გამოჯანმრთელდა და სარეაბილიტაციო პერიოდიც უკან მოიტოვა — არველაძემ ამას დაახლოებით წელიწადი მოანდომა.

ძიკო გუნდს მოგვიანებით, 7 იანვარს შეუერთდება — სწორედ ჩვენებური შობიდან გადავა „კიოლნი" პორტუგალიურ შეკრებაზე და არველაძეც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ იქ ივარჯიშებს პირველად გუნდთან ერთად.

**დავით თავართქილაძე**



არჩილ არველაძეს გოლის გემო მოენატრა



REUTERS

ჩელსი 0:0 საუთჰემპტონი. უეინ ბრიჯმა ლონდონელთა იტალიელ ჯანფრანკო ძოლას ჩაუწვა



REUTERS



მიდლსბრო 3:1 მანჩესტერ იუნაიტედი. ლუკ უილკშირმა დევიდ ბეკჰემს გასაქანი არ მისცა და მანჩესტერელთა კაპიტანს როი კინიც უხასიათოდ სტოვებს მოედანს

### ინგლისი

**პრემიერლიგა. XX ტური**

ჩელსი 0:0 საუთჰემპტონი
ტოტენჰემი 2:2 ჩარლტონი
ვესტ ჰემი 1:1 ფულემი
ბოლტონი 4:3 ნიუკასლი
ვესტ ბრომვიჩი 1:2 არსენალი
ბირმინგემი 1:1 ევერტონი
ლივერპული 1:1 ბლეკბერნი
მანჩესტერ სიტი 3:1 ასტონ ვილა
სანდერლენდი 1:2 ლიდსი
მიდლსბრო 3:1 მანჩესტერ იუნ.

**I დივიზიონი. XXV ტური**

ძოვენთრი 2:0 რედინგი
მილუოლი 2:2 ჯილინგემი
უიმბლდონი 0:0 უოტფორდი
ბრედფორდი 4:2 სტოკი
ბარნლი 2:1 ვულვერჰემპტონი
დერბი ძაუნთი 1:3 გრიმსბი
ნორვიჩი 0:1 ბრაიტონი
პორტსმუთი 1:1 კრისტალ პალასი
პრესტონი 0:2 როტერჰემი
შეფილდ უენსდი 2:0 ნოტინგემი
უოლსოლი 0:1 შეფილდ იუნაიტედი
ლესტერი 1:2 იფსვიჩი

**II დივიზიონი. XXIII ტური**

ბრისტოლი 0:0 პლიმუთი
ლუტონი 2:0 კარდიფი
ქუინზ პარკი 2:1 უიკომბი
მენსფილდი 4:2 სტოკპორტი
ოლდემი 1:1 ბლეკპული
ჩელტენემი 0:4 ძრიუ
კოლჩესტერი 1:1 პიტერბრ.
ჰადერსფილდი 1:2 ტრანმერი
ნორთჰემპტონი 0:1 ჩესტერფილდი
ნოტსი 3:2 ბარნსლი
პორტ ვეილი 0:1 უიგანი
სუინდონი 2:1 ბრენტფორდი

**III დივიზიონი. XXIII ტური**

ტორკი — ექსეტერი გადაიდო
კემბრიჯი 1:1 საუთენდი
კარლაილი 2:2 დარლინგტონი
სუონსი 0:1 როვერსი
ბოსტონი 3:0 იორკი
ჰალი 2:0 ჰარტლპული
კიდერმინსტერი 3:2 ლეიტონი
მაკლსფილდი 0:1 ლინკოლნი
ოქსფორდი 3:0 ბორნმუთი
როჩდეილი 2:2 რექსემი
სკანთორპი 0:0 რაშდენი
შრიუსბერი 4:1 ბერი

### შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXII ტური**

სელტიკი 4:2 ჰართსი
დანდი 1:2 აბერდინი
დანფერმლაინი 0:2 კილმარნოკი
ჰიბერნიანი 1:1 პარტიკი
ლივინგსტონი 3:0 დანდი იუნ.
მოზერუელი 1:0 რეინჯერსი

# აბლაბუდა რუბლის დუბლის

*დეკემბრის დასაწყისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დუბლების ჩემპიონატის გამართვის იდეა წამოაყენა. კარგია, რომ ქართული ფეხბურთის თავკაცობამ გულისნადები დროულადვე გაუზიარა საფეხბურთო სამყაროს. თუმცა ამ საკითხზე ფედერაციის ნებისმიერი რანგის მოხელეთა მოსაზრება ჯერჯერობით ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ უამრავი დეტალი დასაზუსტებელია, სფფ კი კონკრეტიკას კლუბებისგან და პრესისგან ელის.*

**ეჭვგარეშეა**, რომ ფედერაციას კეთილშობილური საქმის კეთება განუზრახავს, მაგრამ ყველა საქმეს ორი პოლუსი აქვს და იმის გარანტია, რომ ამის გამოყენებას ცუდად არავინ ეცდება, არ არსებობს. ამიტომ აქედანვე უნდა ითქვას, რა შეიძლება მოგვცეს დუბლების ტურნირის გამართვამ და რა შეიძლება დაგვაკარგვინოს.

მოკლედ ვთქვათ ისიც, როგორ წარმოუდგენია სფფ-ს დუბლშემადგენლობათა მატჩების გამართვა:

პირველადი მონაცემებით, სარეზერვოთა გაჯიბრება უმაღლესლიგელთა მატჩამდე ორი საათით ადრეა ნავარაუდევი. რამდენად შესაძლებელია ეს, ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ, მანამდე კი მოსალოდნელ სარგებელზე გეტყვით.

დიდი საიდუმლო არაა, რომ ჩვენი მწვრთნელები სასელექციო სამუშაოსთვის ძნელად იცლიან და მაინცდამაინც ევროპაში საქმედალეულ ბოსკამპს უნდა ჩამოუცდეს საქართველოში ფეხი, ეროვნულმა ნაკრებმა ხიზანიშვილი და ხიზანეიშვილი რომ არ დაკარგოს. ამბობენ, თუ მთა არ მივიდა მუჰამედთან, მუჰამედი უნდა მივიდეს მთასთანო. კი ბატონო, მივართვათ ჩვენს მწვრთნელებს სინზე მათი სარეზერვოები, მაგრამ სცალიათ და სცხელათ კი მათ საამისოდ მატჩის დღეს?

თუ ჩვენ გვსურს, ძირითადი გუნდის მწვრთნელმა დუბლიორი საქმეში ნახოს, ეს უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მატჩის წინა დღეს. თამაშის დღეს კი მწვრთნელს თავისი საფიქრალიც ჰყოფნის. და თუ მაინც თანაშემწეებამდე, ანაც სელექციონერთა ინსტიტუტამდე მივდივართ, მაშ, რაღა საჭიროა მივსდიოთ მთის და მუჰამედის პრინციპს?

დუბლიორთა ტურნირის ყველაზე დახვეწილი მოდელი ალბათ მაინც ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ციკლია. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ეროვნულის პარალელურად 44 მატჩი გაუმართავს და აქედან მხოლოდ ათჯერ დაემთხვა ორივე მატჩის თარიღი. დანარჩენ 34 შემთხვევაში კი როგორ გგონიათ, რამდენჯერ მოხვდა წინა დღეს ახალგაზრდულში გარჯილი ფეხბურთელი მეორე დღეს ეროვნულ გუნდში? ორადორჯერ:

1996 წელს ბუქარესტში ალექსანდრე ჩივაძემ ახალგაზრდულში ნათამაშევი გურამ შესვენებისას შეუშვა მოედანზე. მაშინ ჩივაძეს ნასიცხარი შელია აკლდა.

1997 წელს კი დავით ყიფიანმა ბოლო ორ წუთს ათამაშა გიორგი კიკნაძე პოლონეთის ეროვნულ გუნდთან, რაც წინა დღეს თავგამოჩენილი კიკნაძის წახალისების მცდელობა უფრო იყო.

ზოგადად დუბლიორთა და ბავშვთა დიდ ტურნირებში ჩართვას არავინ ეშურება. იგივე ინგლისში, მაგალითად სარეზერვო გუნდები რეგიონულ ქვეჯგუფებში მონაწილეობენ და ჩელსელი რატი ალექსიძე ვერასდროს შეხვდებოდა ნიუკასლელ თემურ ქეცბაიას.

სხვათა შორის, წლეულს ჩვენმა ფედერაციამაც თასის მეთექვსმეტედფინალის კენჭისყრისას გაიხსენა რეგიონული დაყოფის პრინციპი. გასაკვირიც ისაა, რომ ამავე პრინციპის დაცვას არ ცდილობს ისეთ მეორეხარისხოვან ტურნირში, როგორიც დუბლების ჩემპიონატია.

ცოტა შორს თუ გავიხედავთ, შევამჩნევთ, რომ უმაღლესი ლიგის დღევანდელი რეგლამენტი რეზერვების ტურნირს აბსურდად აქცევს, ყოველ შემთხვევაში, მეორე ეტაპზე მაინც. წარმოვიდგინოთ, რომ უმაღლესი ლიგისა და დუბლების ჩემპიონატის სატურნირო ცხრილები სხვადასხვაგვარად დაკომპლექტდა (ამის შანსი არცთუ მცირეა). ეს ხომ თავისთავად გამოიწვევს კალენდრების აცილებას და შესაბამისად ხარჯების ზრდას.

დუბლების ჩემპიონატი უფრო რუსული, პოსტსაბჭოური მოდელია. ანუ იმ დიდი ქვეყნისთვის იყო ზედგამოჭრილი, რომელიც დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული ევროაზიური ქვეყნის არაოფიციალურ ჩემპიონატს უფრო მოგვაგონებდა.



„ჩელსის“ რეზერვისტობამ რატი ალექსიძეს ბევრი ვერაფერი მისცა

რუსულ სივრცეში მაშინაც და დღესაც გუნდები ერთმანეთთან სათამაშოდ თვითმფრინავით მიემგზავრებოდნენ. ყველაზე პატარა თვითმფრინავში კი, მოგეხსენებათ, სავსებით შესაძლებელია, ორი გუნდის მოთავსება. თუმცა ორი მატჩი ერთ დღეს მიუღებელია რუსებისთვისაც: ბოლო ორი წელია, რაც ჩრდილოელმა მეზობელმა დუბლშემადგენლობათა ტურნირის გამართვა დაიწყო და სათადარიგო შემადგენლობებს წინა დღეს ათამაშებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსული ქველიგებისთვის, რომელიც თასის გათამაშებას 1/256 ფინალიდან იწყებს, 16 გუნდის დაკლება დიდი არაფერი ზარალია, მაგრამ ჩვენს ქვემოლიგებს 11 პატრონიანი გუნდის გამოკლება მნიშვნელოვნად გაალარიბებს — ჩვენს უმაღლეს ლიგაში ხომ დღეს ერთადერთი გუნდი, წნორის „მილანია“, რომელსაც ფარმ-კლუბი არ ჰყავს.

იმავ რუსეთში 2 წელიწადს ითამაშა ვლადიმერ კაკაშვილმა მოსკოვური „ლოკომოტივის“ დუბლებში და იქამდე მივიდა, რომ სარეზერვო გუნდის ლიდერობას და კაპიტნობას როსტოვის უამბიციო არმიულ კლუბში რიგითობა ამჯობინა.

სწორიცაა, დუბლების ჩემპიონატში შერბილებულია სატურნირო კონკურენცია. დასაშვებია ისეთი კაზუსიც კი, რომ გუნდი ჩემპიონი გახდეს, მაგრამ უმაღლესლიგელი მოძმის უვარგისობით ლიგიდან გავარდეს, სხვაგვარად თუ ვიტყვით, არსებობა შეწყვიტოს.

ამდენად, დუბლების მოდელი არასრულფასოვანი სარკეა ეროვნული ჩემპიონატისა და ის უფრო ტვირთად დააწვება კლუბებს, ვიდრე ხელს შეუწყობს.

ფედერაცია არ გამორიცხავს, რომ სარეზერვოთა შეჯიბრი თავად დააფინანსოს და ამის თქმისას არ შეიძლება ბავშვთა ლიგაში უკვე აპრობირებული ამ მეთოდის ავ-კარგიც არ ვთქვათ.

არსებითად დუბლების მოდელი იმეორებს ბავშვთა ლიგის ვარიანტს, განსხვავება აქ მხოლოდ ასაკშია. 18-19 წლისას ხომ ბავშვს ვეღარ უწოდებ და მას დუბლიორი უნდა დაერქვას.

ფედერაციას ალბათ ამაზე არ უფიქრია, მაგრამ დიდი შანსია დუბლების ჩემპიონატი მავანმა ბავშვთა და მშობელთა მოსატყუებლად გამოიყენოს. ანუ როცა 17 წლის ჭაბუკი ამთავრებს სკოლას და უგუნდოდ რჩება, პრობლემა იჩენს თავს. ახლა კი ჩვენ ვაპირებთ ამ პრობლემას ორწლიანი სირაქლემას პოზა დავუპირისპიროთ.

დღეს საქართველოს გარეთ მოქმედ ქართულგვარიან მოთამაშეთა რიცხვი ორასს უმნიშვნელოდ აღემატება. სულ მცირე, მათი ნახევარი ეროვნულ ჩემპიონატს პეწსა და ლაზათს უდავოდ შემატებდა.

ჰოდა, თუ 18-19 წლის ფეხბურთელი ისედაც დაცლილ ქართულ გუნდებში ვერ ხვდება, ხომ არაა დრო, დაფიქრდეს, იქნებ მოედანზე მისი ადგილი აღარაა. და თუ ასეა, ხომ არ სჯობს ახალგაზრდა დროულად დაადგეს ახალ გზას და უპერსპექტივო საქმეს არ მიახარჯოს ორი წელი, რაც შესაძლოა, სანანებელი გაუხდეს.

მგონი, არავისთვისაა უცხო, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ბავშვთა ფეხბურთში კორუფციას უღრესად ნოყიერი ნიადაგი რომ მოუმზადა.

მეტ-ნაკლებად შეძლებული მშობლები წლობით აფინანსებდნენ მათი შვილების საწვრთნელ პროცესს, გარდა იმისა, რომ სკოლებში ყოველთვიურ გადასახადს იხდიდნენ, თავადვე იძენდნენ გუნდისთვის ფორმას, ბურთებს, აწყობდნენ შეკრებებს და ხშირად, ცხადია, შემადგენლობის შერჩევაშიც ერეოდნენ. ასეა, კარგა ხანია, ასეა დღესაც და ასევე გაგრძელდება მომავალშიც, თუ ამ საქმეს დროულად არ ეშველა.

სიმახინჯემ ისეთი ფორმებიც მიიღო, რომ არაერთი მწვრთნელი შეკრებას უდროო დროს და შეუფერებელ ადგილას გეგმავდა. ეს არ არის მხოლოდ უკოორდინარობის, არაპროფესიონალიზმის გამოძახილი. პირიქით, კორუფციამ მწვრთნელი პროფესიონალ გამომძალველად აქცია, უფრო სწორად, გამოძალვის იარაღად ასე მომრავლებული საფეხბურთო სკოლების ხელში.

მარტო თბილისში დღეისთვის მოქმედი 200-მდე საფეხბურთო სკოლაა რეგისტრირებული. სკოლების სიმრავლე იცოცხლე, კარგია, მაგრამ მათი დიდი უმეტესობა ნაპოვნი და ხელიხელნაგოგმანები მარგალიტების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის.

გამართლება თითქოს ამასაც მოეძებნება, ძნელია ასფალტზე და ტლაპოში (ნორმალური მოედნები ხომ სანთლით საძებარია) იპოვნო მარგალიტი, უფრო მეტიც, შეუძლებელია, როცა ის იქ არ არის.

მაშ, რა აზრი აქვს ფულის ხარჯვას იმის საძიებლად, რასაც ვერ ვიპოვით.

ბავშვთა ლიგაშიც კი, სადაც ფედერაცია მგზავრობის ხარჯებს აფინანსებს, ყოველთვის სწორად არ იხარჯება ფული. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თანაბარი წარმატებით იჯიბავს ფედერაციის მიერ გამოყოფილ სამგზავრო თანხებსაც და მშობელთა შემონაწირსაც, ხშირია იაფფასიან სასტუმროებში დამენათევი (და არა გამოძინებული), ანაც ორლარიანი ძეხვით მოწამლული გუნდები და მოედანზე მათი ლასლასი.

დღევანდელ ქართულ ფეხბურთს პრობლემას რა დაულევს, მაგრამ დროის მოუგვარებელიც, აბა, რაა. ძირისძირამდე რომ ჩავყვეთ, ორ დიდ პრობლემამდე მივალთ, რომელთა მოკლე დროში მოგვარება შეუძლებელია: მოედნებისა და კვალიფიციური მწვრთნელების უკმარისობა.

გვიან, მაგრამ სჯობს ვიდრე არასდროს, სფფ მწვრთნელთა პრობლემის მოგვარებას შეუდგა, აი, მოედნები კი...

უმოედნობის პრობლემა დუბლების ჩემპიონატსაც დაუდგება. თუ მათ უხარისხო სათადარიგო მოედანზე ათამაშებენ, ეს დადებით ეფექტს ვერ მოიტანს, ხოლო თუ მატჩამდე 2 საათით ადრე ძირითადი გუნდებისთვის განკუთვნილ მოედანზე შეუშვეს, ეს, ვთქვათ, ავდარში, უმაღლესლიგელებს ჩააყენებს არასახარბიელო მდგომარეობაში.

ისე, თბილისური კლუბებისთვის უფრო გონივრული კალენდრის აცილება და არა დამთხვევა იქნებოდა, რაკი მათ ტრანსპორტირების პრობლემა სხვებზე ნაკლებად აწუხებთ და ხარჯიც ნაკლებია, სჯობს ორი მატჩი ერთ დღეს ერთსადაიმავე სტადიონზე კი არა, სხვადასხვაზე ჩატარდეს. ვთქვათ „დინამო“ ეროვნულზე „ლოკომოტივს“ მასპინძლობს, დუბლებმა ვაკეში ითამაშონ, ვიტ ჯორჯია „სინათლეზე“ „მერანის“ სტუმარია, რეზერვები „შევარდენზე“ გაისარჯონ.

ერთი სიტყვით, ვიდრე ფედერაცია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, კარგად უნდა აწონ-დაწონოს ყველა ნიუანსი, რომელთა გათვალისწინებასაც მოითხოვს ახალი იდეის ხორცშესხმა.

უნდა ვიფიქროთ, გვარგებს თუ არა ჩვენ იმ მოდელის დუბლირება, რომელიც რუსეთისთვის იქნებ სწორედ ზედგამოჭრილია, მაგრამ ჩვენთვის, შესაძლოა, დამღუპველიც გამოდგეს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# გიორგი ლომაია: არ გამახსენოთ თურქეთი, ვილაპარაკოთ გერმანიაზე

*გიორგი ლომაიამ ბევრი ინვალა, რათა თავისი გზა ეპოვა და საქართველოში კარიერა მოეწყო. „დინამოს“ ფარმ-კლუბში ჩაკარგულს ხელი არასდროს ჩაუქნევია, უტეხი ხასიათისა და დიდი ჯაფის წყალობით „ლოკომოტივის“ ძირითად მეკარედ გადაიქცა, მოლონიერდა და ეროვნული გუნდის მთავარმეკარეობასაც გამოჰკრა ხელი.*

*არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ გიორგი სადღეისოდ ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე საიმედო მეკარეა. მსურველებიც მოუმრავლდა და ახლა ბევრს საუბრობენ ლომაიას სამომავლო უცხოურ კარიერაზე. ერთი შეხედვით, გუნდების ჩამონათვალი არც ისე მწირია. ლომაიასაც თითქოს საქმე ასარჩევადაც გახდომია, მაგრამ...*

*ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ის უკვე გამოცდილია სატრანსფერო განამანიაში. ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერის პრინციპით მოქმედებს და არ ჩქარობს. დანარჩენს კი თავად მოგიყვებათ და საახალწლო სურვილებსაც გაგანდობთ...*



გიორგი ლომაია

— **კარიერის უცხოეთში გასაგრძელებლად რამდენიმე ვარიანტს გთავაზობენ. ყველაზე რეალური წინადადებით რომელმა უცხოურმა კლუბმა მოგმართათ?**

— ასეთი შემოთავაზება ჯერ არ მქონია. მხოლოდ ზოგადი ლაპარაკია. ლუის ცაკარიასი გერმანულ ვარიანტებზე მუშაობს. ვიცი, რომ „ვოლფსბურგში“ „ჰანოვერსა“ და „დუისბურგში“ მოხვედრის პერსპექტივები იკვეთება. იქაური ამბები საბოლოოდ ცაკარიასის დაბრუნების შემდეგ მეცოდინება.

მეუბნებიან, კიევის „დინამოა“ შენით დაინტერესებულიო. კიეველებს ორი ძლიერი მეკარე ჰყავთ. ვიტალი რევას და ალექსანდრ შოვკოვსკის მაღალ დონეზე უთამაშიათ და კიდევ კარგა ხანს ითამაშებენ. თითქოს კლუბი შოვკოვსკის გაყიდვას აპირებს და რევასთან ერთად თამაშების 50 პროცენტს მპირდებიან, მაგრამ ამგვარად რომ ვერ აეწყოს ყველაფერი და წინ და უკან უნაყოფოდ ხეტიალში დრო დავკარგო, ესეც არ მინდა.

— **შენი ნება რომ იყოს, გერმანიას აირჩევდი თუ უკრაინას?**

— უსიტყვოდ გერმანიას ვამჯობინებდი. იქ უკეთესი ჩემპიონატია და მეტი პერსპექტივა მექნება. ისე, ჩემი ნება რომ იყოს, მეთოთხმეტე ჩემპიონატს აქ ჩავამთავრებდი და წასასვლელად მერე გავემზადებოდი.

— **როგორ ფიქრობ, მზად ხარ, უცხოელი კოლეგების კონკურენცია დაძლიო?**

— საჭირო იყო თუ არა, მუდამ რაღაცის დამტკიცება მიწევდა. კონკურენციას არასდროს შევუშინებივარ, ძირითადში თამაშის გარანტიასაც არავინ მოგცემს, ამიტომ ვალდებული ხარ, შენს სიძლიერეში ყველა დაარწმუნო.

— **ეროვნულ გუნდში უკვე რამდენჯერმე ითამაშე, განსაკუთრებით რომელ მატჩში იყავი საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული?**

— რუსებთან სანახევრო თამაშში. მატჩის დაწყებამდე გვარიანად ვნერვიულობდი. ვიცოდი, რუსებთან მხოლოდ ფეხბურთი არ იყო. იქ დაშვებულ შეცდომას მუდამ წამომაძახებდნენ, მაგრამ მოედანზე ფეხი შევდგი თუ არა, ტრიბუნები შევათვალიერე, ქომაგის უსაზღვრო მხარდაჭერაც ვიგრძენი და დაძაბულობაც ერთბაშად მომეხსნა. თანაც, მე ხომ ჩემს სტადიონზე ვთამაშობდი. ფსიქოლოგიურად ეს ფაქტორიც ძლიერ დამეხმარა.

— **რუსეთთან მატჩამდე თურქეთი იყო...**

— ტრაპიზონში მთელი გუნდი ჩავლავდა. მეც ვერ ვიყოჩაღე, სათანადოდ ვერ მოვემზადე მატჩისთვის. ნამდვილად არ მეგონა, ძირითადში თუ გამამწესებდნენ. ამის შესახებ თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გავიგე. მერე რაც მოხდა, თითქმის მთელმა საქართველომ იხილა.

— **ეროვნულ გუნდს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის რეალური შანსი თუ გააჩნია?**

— შემიძლია, ამ კითხვაზე ზოგადად გიპასუხოთ — შინ თუ ყველას მოვუგებთ, სტუმრად არ წავაგებთ და ასე შემდეგ, მაგრამ ეს ქომაგს დააკმაყოფილებს და დააჯერებს?! არ ვიცი, რა იქნება მომავალში, ვინ როგორ ფორმაში შეხვდება სანაკრებო მატჩებს, რა შეიცვლება და რა იქნება ხელუხლებელი. ამიტომ უმჯობესი იქნება, მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ.

— **ეროვნულ ჩემპიონატზე გადავერთოთ. როგორ შეაფასებდი „ლოკომოტივის“ წლევანდელ შედეგს?**

— საკმაო ცვლილებების ფონზე მიღწევა დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. „ლოკომოტივი“ პირველი ეტაპის შემდეგ მესამეა, ჩემპიონი „ტორპედო“ ერთი ქულით გვისწრებს, ხოლო საჩემპიონოდ შემართული „დინამო“ — სამით. დამეთანხმებით, მთავარი ბრძოლები წინაა და პირველობა ჩვენც შეგვიძლია. საამისოდ „ლოკომოტივს“ თითქმის ყველაფერი გააჩნია.

— **„დინამო“, „ტორპედო“, „ლოკომოტივი“... სამიდან ჩემპიონობასთან ახლოს უფრო რომელია?**

— თქვენ დაგავიწყდათ „ვიტ ჯორჯია“. არადა, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე სწორედ ვეტერინარებმა მოახდინეს. ჩვენ მათ ორივე მატჩი მოვუგეთ, მაგრამ დღესაც არ ვიცი, ეს როგორ მოვახერხეთ. „შევარდენზე“ კოშმარული პირველი ტაიმი გადავიტანეთ, ვაკეში კი „ლოკომოტივის“ გამარჯვება ზღაპარს უფრო წააგავდა. თუ ვიტელებმა ძირითადი ბირთვი შეინარჩუნეს, „დინამოსთან“, „ტორპედოსთან“ და ჩვენთან ერთად საჩემპიონო ბრძოლაში ტოლს არავის დაუდებენ.

— **ახალ წელიწადს სად და ვისთან შეხვდები?**

— 31 დეკემბერს 12 საათზე აუცილებლად შინ ვიქნები, მერე კი მეგობრები შევიკრიბებით, ოღონდ ვისთან, ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

— **როგორი იქნება გიორგი ლომაიას საახალწლო სურვილი?**

— ვისურვებდი, საქართველო ლაღი და წელგამართული იყოს. ქართველების დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და სიხარულს ვინატრებ. კიდევ, 2003 წელიწადს გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო სიურპრიზები შევეთავაზებინოს.

**მამუკა ქვანტალიანი**

*90 პროცენტით მოსკოვის „სპარტაკში" ვითამაშებ – განაცხადა რამდენიმე დღის წინ სარუსეთოდ ბარგჩალაგებულმა ოთარ ხიზანეიშვილმა. გუშინ კი გაირკვა, რომ 90 პროცენტით ხიზანეიშვილი კვლავაც თბილისის „დინამოში" გააგრძელებს კარიერას*

# დინამომ სპარტაკს ხიზანეიშვილი მაისამდე სთხოვა



ოთარ ხიზანეიშვილი

ქართველი მცველი მოსკოვის „სპარტაკს" ეკუთვნის კონტრაქტით და ამ გუნდიდან იჯარის წესით ჯერ „როსტსელმაშში" აღმოჩნდა, შემდეგ კი თბილისის „დინამოში". „დინამოში" დაბრუნება ხიზანეიშვილს სასიკეთოდ წაადგა. ტრავმაც ბოლომდე მოირჩინა და მოკლე დროში თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა მოახერხა. ხიზანეიშვილი აშკარად შეეწყო შუშაკისეულ „დინამოს" და ამ დროს იჯარის ვადაც ამოიწურა. „სპარტაკმა" ერთი კვირის წინ თავისთან უხმო ქართველ ლეგიონერს. სწორედ მაშინ თქვა ხიზანეიშვილმა, „სპარტაკში" ვითამაშებო, მაგრამ თბილისელებსაც არ ეთმობოდათ ხმაშეწყობილი მცველი და გუშინ მოლაპარაკება გააჩაღეს რუსებთან. ორი კლუბის ხელმძღვანელთა წინასწარი შეთანხმებით, ხიზანეიშვილი მაისამდე „დინამოში" დარჩება — ასეთია გუშინდელი მოლაპარაკების შედეგი, თუმც საქმე საბოლოოდ მაინც არ გადაწყვეტილა. ამიტომ ოთარი დღე-დღეზე მაინც გაემგზავრება მოსკოვში, „სპარტაკის" მესვეურებს შეხვდება და კონკრეტულად მერელა გაირკვევა მისი მომავალი. თუმც, როგორც ვთქვით, დიდი შანსია, ისევ „დინამოში" დაბრუნდეს და 14 იანვარს გუნდთან ერთად კვიპროსულ შეკრებაზე გაემგზავროს.

**ბაატა ქვანტალიანი**

# რუბინის საუკეთესო რუსეთის საუკეთესოა

## ჩალაძემ ამომრჩევლები გოლებით გადაიბირა

**დავით ჩალაძე** რუსული პირველი ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

გასული სეზონი ქართველი ფორვარდისთვის მართლაც ნაყოფიერი გამოდგა. ყაზანური „რუბინის" ახალწვეულმა 25 მატჩში 20 გოლი გაუტანა მეტოქეებს, მისი გუნდი კი რუსეთის პრემიერლიგაში ალზევდა.

ჩალაძემ 17 წლისამ დაიწყო კარიერა თბილისის „ბაჩოში", ორი წლის შემდეგ ჯერაც ჩამოუყალიბებელი ფეხბურთელი რევაზ ძოძუაშვილმა უკრაინულ „ტემპში" წაიყვანა. იმხანად შეპეტოვკური გუნდი უკრაინის ჩემპიონატის აუტსაიდერი იყო, თუმც ქართველებმა ვერ შეძლეს გუნდის გადარჩენა. ძოძუაშვილი და ჩალაძე საქართველოში დაბრუნდნენ და ერთად გააგრძელეს მუშაობა რუსთავის „მეტალურგში", მაგრამ ჩალაძეს თვალი ვლადიკავკაზელებმა დაადგეს და ისიც „ალანიაში" ჩაირიცხა. ქართველს ჩინებული დებიუტი ჰქონდა, გოლებიც გაჰქონდა და შემფასებელიც კმაყოფილი ჰყავდა, თუმც „ალანიაში" გაზაევის მისვლის შემდეგ ჩალაძის საქმეები უკან და უკან წავიდა. შედეგად დათომ გუნდი დატოვა და ნაცად გზას დაადგა — ძოძუაშვილის კვალდაკვალ რიგის „სკონტოში" აღმოჩნდა. ესენგეს თასზე ლატვიურ კლუბში თამაშისას ჩალაძე ყაზანის „რუბინის" მზირებმა მოიწონეს და მალე ქართველი ფორვარდი სათათრეთის რესპუბლიკაში აღმოჩნდა.

სეზონის წინ ჩალაძის შანსებს სკეპტიკურად აფასებდნენ რუსები, რადგან „რუბინს" ორი გამოცდილი ფორვარდი ბულატოვი და კლიმოვი ჰყავდა. ამათ გარდა, გუნდმა წინა სეზონის პირველი ლიგის ბომბარდირი კაკუნინიც დაიმატა და ქართველ ახალწვეულს სათადარიგობა დაემუქრა, თუმც ჩალაძის ბედად კლიმოვი და კაკუნინი მოსამზადებელ ეტაპზე დაშავდნენ. როცა ისინი მომჯობინდნენ, ჩალაძეს უკვე 14 გოლი ჰქონდა 16 მატჩში გატანილი და რაღა გასაკვირია, რომ „რუბინის" ალღოიან მწვრთნელ ყურბან ბერდიევს მისი სკამზე დასმა არც უფიქრია.



დავით ჩალაძე

პირველი ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი დავით ჩალაძე „სპორტ-ექსპრესის" გამოკითხვის შედეგად გახდა. რუსულმა გამოცემამ ლიგის ყველა გუნდის 197 ფეხბურთელს დაურიგა ანკეტები. რესპონდენტებს სამი საუკეთესო უნდა დაესახელებინათ. გამოკითხვაში ჩალაძემ 30 პირველი, 14 მეორე და 11 მესამე ხმა მიიღო, ჯამში 129 ქულა დააგროვა და საგრძნობლად მოიტოვა მეორეადგილოსანი ჩერნომორეცელი ვიაჩესლავ კამოლცევი.

ჩალაძის აღიარებას ველოდი, იგი მართლაც საუკეთესო იყო გასულ სეზონში, განაცხადა გამოკითხვის შემდეგ „რუბინის" თავკაცმა ყურბან ბერდიევმა.

**ბაატა ქვანტალიანი**

# ბენდელას თასი 2002

# ჩიხურამ აღმართი ვერ მოხნა

## დეკემბრის მაისობა გრძელდება



„მაისის" მთავარი სამეული: გიორგი დეკანოსიძე, ლაშა ჯაკობია და ლადო ბურდული

### მეოთხედფინალი

**მაისი 7:1 ჩიხურა**

1:0 ჯაკობია, 2:0 გოგოლაძე, 3:0 ბურდული, 3:1 ა. კაკაშვილი (პენ.), 4:1 ჯაკობია, 5:1 სვანაძე, 6:1 გოგოლაძე, 7:1 ჯაკობია

**თემქა 2:3 თბილისი**

0:1 გაგუა, 0:2 ი. შენგელია, 1:2 ბაჯელიძე, 1:3 სალარეიშვილი, 2:3 თორთლაძე

**ნაძალადევი 5:1 ზოოვეტი**

1:0 მოსულიშვილი, 2:0 მიზანდარი, 3:0 ძაბირაძე, 4:0 ირემაშვილი, 4:1 გუგუშვილი, 5:1 ახალაძე

**ლოკომოტივი 5:2 უნივერსიტეტი**

1:0 ტყებუჩავა (ს.კ.), 1:1 ახათიანი, 2:1 სირაძე, 3:1 კვარაცხელია, 3:2 ჭიჭკეიშვილი (ს.კ.), 4:2, 5:2 კვარაცხელია

საკმაოდ დაძაბული გამოდგა მეოთხედფინალური მატჩები, თუმც ფავორიტებმა საბოლოოდ მაინც იძალეს.

„მაისმა" ერთი შეხედვით იოლად სძლია საჩხერის „ჩიხურას". სიმართლეს რომ თვალი გავუსწოროთ, ასეც იყო, მაგრამ „ჩიხურამ" მაინც ბოლომდე იბრძოლა და რაც შეეძლო, მოედანზე დახარჯა. მაისელებმა უფრო ჭკვიანური თამაშით და მაღალი საშემსრულებლო დონით აჯობეს მეტოქეს.

სამი გოლი შემატა მარაგს ლაშა ჯაკობიამ. ახლა მას 12 გოლი დაუგროვდა და შანსი აქვს, „ბენდელას თასის" ყველა დროის საუკეთესო მეგოლეს, გიორგი დემეტრაძეს რეკორდი წაართვას. შეგახსენებთ, ორი წლის წინ დემეტრაძემ თვრამეტი გოლის გატანა შეძლო სპორტის სასახლეში.

„ჩიხურას" მატჩში გარდატეხის შეტანა აკაკი კაკაშვილის მიერ გატანილი პენალტის შემდეგ შეეძლო, მაგრამ ჯაკობიამ მალე ისევ გაზარდა „მაისის" უპირატესობა და ნახევარფინალისტის ვინაობაც, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა.

დიდი ბრძოლა გადაიტანა „თბილისმა" კერკეტ „თემქასთან". ვალერი გაგუასა და ირაკლი შენგელიას გოლებით „თბილისმა" თითქოს სოლიდური ფორა შეიქმნა, თუმც ლევან ბაჯელიძემ ერთი მალევე გაქვითა და შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნა. მოგვიანებით „თემქას" ცივი წყალი ბექა სალარეიშვილმა გადაასხა, რომელმაც მეტოქეს შეცდომა არ აპატია და ანგარიში 3:1 გახადა. ამგვარად, მატჩის მიწურულს თორთლაძის გატანილ ბურთს მატჩის ბედზე არც უმოქმედია.

ნახევარფინალში სწორედ „მაისი" და „თბილისი" შეებრძოლებიან ერთმანეთს. შედარებით იოლად მოიგო „ნაძალადევმა". გიორგი მოსულიშვილმა პირველივე წუთებზე გაუტანა „ზოოვეტს", რასაც ანდრო მიზანდარის ულამაზესი გოლი მოჰყვა. ვასილ მაისურაძის შეგირდები, სხვა მატჩებისგან განსხვავებით, საკმაოდ თავისუფლად თამაშობდნენ და ეს შედეგშიც აისახა. ძაბირაძემ და ირემაშვილმა ანგარიში 4:0 გახადეს. „ზოოვეტმა" მეტოქეს პრესტიჟის გოლითღა უპასუხა. წერტილი კი შეხვედრას კახა ახალაძემ დაუსვა.

„ნაძალადევის" მეტოქე ნახევარფინალში ყველაზე ბოლოს, „ლოკომოტივ" — „უნივერსიტეტის" ჯახში გაირკვა. სტუდენტებმა საკმაო წინააღმდეგობა გაუწიეს რკინიგზელებს. კარგა ხანი ანგარიში თანაბარიც იყო და „უნივერსიტეტმა" რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაატანა გიორგი ლომაიას თავგანწირულ ნახტომებს, თუმც მერე სირაძე-კვარაცხელიას დუეტი ამოქმედდა და ანგარიშიც 3:1 გახდა. სტუდენტებმა მაინც შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა, მაგრამ გივი კვარაცხელია კვლავ ფეხმარდობდა. რკინიგზელის ჰეთ ტრიქით ნახევარფინალში „ლოკომოტივი" გავიდა.

ამგვარად, დღეს „ბენდელას თასის" ფინალისტებიც გამოვლინდებიან. ხვალ კი ტურნირის ახალი ჩემპიონის ვინაობაც გვეცოდინება.

ორიოდ სიტყვა წლევანდელი გათამაშების უდავოდ ერთ-ერთ ყველაზე სიმპათიურ გუნდზეც ვთქვათ — საჩხერის „ჩიხურამ" სასიამოვნოდ დაამახსოვრა თავი ფეხბურთის მოყვარულთ. რეგიონული ლიგის ბინადრებმა რამდენიმე თვალსასეირო მატჩი ჩაატარეს, გულშემატკივრებიც ახმაურეს და შინ თავაწეულებიც დაბრუნდნენ. რას იზამ, ძალა აღმართს ხნავს...

**კახა ზალამბერიძე**

**ნახევარფინალები**

**მაისი — თბილისი**

**ნაძალადევი — ლოკომოტივი**

# რა დროს შტანგაა

## ასანიძემ ბურთი აიტაცა და გაიტანა

**ცოტაც და** ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ძალოსანი გიორგი ასანიძე ხელობას შეიცვლის. გუშინ სპორტის სასახლეში ჟურნალისტების, მორაგბეების, ვეტერანი ფეხბურთელებისა და ზაზა ბენდელიანის მეგობრების მონაწილეობით ტრადიციული ბლიც-ტურნირი დაიწყო.

პირველ მატჩში ერთმანეთს „ბენდელა" და მორაგბეები დაუპირისპირდნენ. გოჩა ჯამარაულმა, ბუბა ტყავაძემ, ვასილ მაისურაძემ, თემურ შალამბერიძემ, გოდერძი ნატროშვილმა და კიდევ რამდენიმე ცნობილმა პიროვნებამ მოირგო „ბენდელას" გუნდის მაისური. მათ შორის, ბევრის გასაკვირად, გიორგი ასანიძეც გამოჩნდა. ქართული სპორტის მედალთმომტანი ფეხბურთისგანაც არ ყოფილა შორს. პირველი გოლი სწორედ ასანიძემ გაუტანა მორაგბეებს.

მაგრამ აქვე ვთქვათ, რომ თავი არც მორაგბეებს შეურცხვენიათ. მართალია, გამოცდილ ფეხბურთელებს ბევრი ვერაფერი დააკლეს, თუმც ერთი-ორჯერ მექსიკელი კვატემოკ ბლანკოს ფინტებითაც დაამახსოვრეს თავი მაყურებელს.

საბოლოოდ „ბენდელამ" 7:3 მოიგო. გიორგი ასანიძის პირველ გოლს ბუბა ტყავაძემ და გოჩა ჯამარაულმა ჰეთ ტრიქები შეაშველეს.

ორგანიზატორებმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელიც გამოავლინეს და არ გაიკვირვოთ, ასეთად გიორგი ასანიძე მიიჩნიეს.

**კახა ზალამბერიძე**



გიორგი ასანიძემ ჯერ „ჩიხურას" უქომაგა და მერე თავადაც ითამაშა

# ალქიმიკოსი მანჩინი

## მორატიმ კუპერი ორჯერ ვერ იცნო



მარჩელო ლიპიმ ბოლო გამოუშვა და საბრძოლველად მოემზადა

*ამბობენ, იტალიურმა ფეხბურთმა თავისი ლაზათი და ხიბლი დაკარგა, სერია A-ს დონემ ესპანურ პრიმერადივიზიონთან და ინგლისურ პრემიერლიგასთან შედარებით დაიწია და ძველებურად მსოფლიოს საუკეთესო პირველობა აღარ არისო.*

*ვისთვის როგორ, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ კალჩოს გურმანები თუ არ მოუმრავლდა, არც მოჰკლებია.*

*მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვთქვათ — იტალიური ფეხბურთი დასასვენებლად გაეშურა. აპენინის ნახევარკუნძულზე ბურთი იანვარში გაგორდება, მოილევენ შობა-ახალწელიწადს და სტადიონებიც ახმაურდება.*

*პირველი წრე ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ კონტურები, ასე თუ ისე, მოხაზულია: ვინ სკუდეტოსთვის იბრძვის, ვინ ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის საგზურისთვის, გამოკვეთილი მაჩანჩალები ბოლო ადგილებიდან თავის დაღწევას ლამობენ, ზოგიერთი კლუბის პრეზიდენტი მსაჯებს ებრძვის, ქომაგები კი კარაბინიერებს. ერთი სიტყვით, საქმე სერია A-სთან გვაქვს.*

*გადავწყვიტეთ, ჩემპიონატში დაწინაურებულ ხუთ გუნდზე მოგითხროთ, უფრო სწორად, მათ არდადეგებამდე განვლილ გზას გადავხედოთ. „რომა" მართალია, ცხრილში მერვეა, მაგრამ ჩამოსაწერად ვერ გავიმეტეთ და მასზეც მოგახსენებთ.*

### მილანი

მკვდრეთით აღმდგარი გუნდი-საოცრება, ვარსკვლავთკრებული — რა ეპითეტით არ შეამკეს იტალიელებმა კარლო ანჩელოტის წლევანდელი გუნდი.

სეზონის წინ „შავ-წითლებმა" ორი ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელეს — როცა რივალდო და ალესანდრო ნესტა გადაიბირეს. ორივეს წლიურად გვარიანი გასამრჯელო, 5-5 მილიონი ევრო დაუნიშნეს. „რონსონერი" ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფის მისვლამაც გააძლიერა, პაოლო მალდინიმ პოზიციის შეცვლით ახალგაზრდობა გაიხსენა, მანუელ რუი კოშტა როგორც იქნა, მოერგო სათამაშო სქემას, ფილიპო ინძაგის გოლი გოლზე გაჰქონდა, ანდრეი შევჩენკომ ტრავმა რომ მოიშუშა, ხელობა გაიხსენა, ჩვენებური კახა კალაძე, როგორც ანჩელოტი ამბობს, სტაბილურობით გამოირჩევა.

ერთი სიტყვით, „მილანი" მასზე გაცემულ ავანსებს ჯერჯერობით ამართლებს. ანჩელოტის სამწყსო წარმატებით თამაშობს ევროსარბიელზეც. ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე მიუნხენის „ბაიერნი" დაჩოქა. მეორე ეტაპზე კი დორტმუნდის „ბორუსია" და თვით უძლეველი მადრიდის „რეალი" წამოაქცია.

იყო ჩავარდნაც, მაგრამ ხანმოკლე. მოგებათა სერიებს ერთხანს მარცხიანი მატჩები მიაყოლა. ბოლოს „ბრეშასთან" უგოლო ფრე იყო „სან სიროზე", თუმც მთლიანობაში „მილანის" თავკაცებმა, სილვიო ბერლუსკონის მეთაურობით, გუნდის თამაში დადებითად შეაფასეს, ანჩელოტის და ფეხბურთელებს მადლობა უთხრეს და ახალ წელიწადშიც წარმატებები უსურვეს.



ლუიჯი დელ ნერის ჩემპიონთა ლიგა ალალი იქნება

### ინტერი

თავის მხრივ, მილანის მეორე გუნდმაც განახორციელა ხმაურიანი ტრანსფერები: გაუშვა მსოფლიოს ჩემპიონი რონალდო, მოიყვანა ერნან კრესპო და ფაბიო კანავარო. ამბიცია არასდროს მოჰკლებიათ ექტორ რაულ კუპერის შეგირდებს. შარშან, რომ იტყვიან, „შავ-ლურჯებმა" ზღაპარში დაკარგეს სკუდეტო, წლევანდელს შეცდომების გამეორებას არ აპირებენ. და თუ მოსიხლე „მილანს" სამივე ტურნირის მოგება განუზრახავს, „ინტერი" სკუდეტოს მოგებითაც დაკმაყოფილდება უბრალო მიზეზის გამო: „ნერაძურის" იტალიის ჩემპიონის ტიტული 1989 წლის (!) მერე არ მოუგია.

მენავთობე მასიმო მორატიმ ბოლო ორი წლის მანძილზე პირველად გააკრიტიკა კუპერი: „წლევანდელი დერბი დასაწყისშივე წავაგეთ, როცა შემადგენლობას გავეცანი." არგენტინელმა მწვრთნელმა პრეზიდენტის წყრომა გულთან ახლოს მიიტანა და პასუხი საქმით გასცა, როცა ნამილანევს 18 შესაძლებლიდან 16 ქულა მოაგროვა და მორატის ათქმევინა: „კუპერი ბრწყინვალეა, მერე რა, რომ გუნდი მოსაწყენ, არასანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს, მთავარია შედეგი."

ცხადია, „ინტერის" დამრტყმელი ძალა ზორბა კრისტიან ვიერია. ვიერი თავის საძლიერეს წლობით გვიმტკიცებს, წლევანდელ სერიაშიც მას ყველაზე მეტი, 12 გოლი აქვს გატანილი და მუდამ კარზეა დაგეშილი. „ნერაძურის" სამწუხაროდ, მეგოლე ახლა დაშავებულია. ტრავმირებულია გუნდის მეორე გამტანი ერნან კრესპოც. თუ ვიერი შინაური ჩემპიონატის ბომბარდირია, კრესპოს ჩემპიონთა ლიგაში გააქვს გოლები.

### ლაციო

აი, გუნდი! სეზონის წინ ორი ვარსკვლავი — ალესანდრო ნესტა და ერნან კრესპო გაყიდა. გაავებულმა ტიფოზებმაც ლამის სახლი აუფეთქეს სერჯო კრანიოტის, რომაული კლუბის აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტს. რაღა დარჩა ორი წლის წინანდელი ჩემპიონური გუნდიდან? ფაქტობრივად, არც არაფერი. ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმაც „ლაციო" ჩამოწერეს, მორჩა, მაგათი მზე ჩაესვენა, თანაც მწვრთნელად გამოუცდელი რობერტო მანჩინი ჰყავთო.

სეზონიც დაიწყო. საშინაო მარცხი „კიევოსთან" 2:3, საშინაო ფრე „მილანთან", 1:1 — თითქოსდა მართლდება სკეპტიკოსთა ვარაუდი.

და რა მივიღეთ ბოლოს? ფული არა, ხელფასები არა, ვარსკვლავები არა, ვალები, ვალები და... ფანტასტიკური შედეგი. 14-მატჩიანი დაუმარცხებელი სვლა. სტუმრად ზედიზედ შვიდი მოგება და სკუდეტოსთვის თამამად მებრძოლი გუნდი.

დღევანდელი „ლაციო" გუშინდელი „კიევოა" — ამბობენ იტალიაში. უნდა ნახოთ, რას აკეთებს რობერტო მანჩინი, ამ ალქიმიკოსმა კაცმა (იტალიელები რატომღაც ასე ეძახიან) არაფრისგან ბრწყინვალე გუნდი შექმნა: ცენტრალურ მცველ იაპ სტამისგან, მარცხენა მცველი იაპ სტამი გამოძერწა.

მიხაილოვიჩი, ნეგრო, სტამი, პანკარო, კოუტუ, ფავალი — ექვსი მცველი და ექვსივე ვეტერანი.

და ვინ ჰყავს მანჩინის შეტევაში? მოუღლელი სტანკოვიჩი, ახალგაზრდა და „მაკრატელათი" დარტყმის მოყვარული კორადი და კლაუდიო ლოპესი, რომელიც ორი სეზონია, რაც იტალიაშია და გოლების გატანა ახლაღა დაიწყო.

„ლაციოს" ვალები ახრჩობს, „ლაციოს" ფულებს სთხოვენ. იქით „მანჩესტერ იუნაიტედი" ითხოვს კუთვნილს სტამის ტრანსფერში, აქეთ კიდევ „ვალენსია" არ ისვენებს, მენდიეტას საფასური გადაგვიხადეთო, გუნდი კი თამაშობს.

### კიევო

იტალიური ფეხბურთის კონკია ისეთივე სიმპათიური და საოცარია, როგორიც შარშან გახლდათ. ხიბლი არ მოჰკლებიათ ლუიჯი დელ ნერის შეგირდებს, თამაშობენ ლაღად და მარტივად. ერთი შეხედვით, არ აქვთ იმპროვიზაციის უნარი, მაგრამ აქვთ უმთავრესი — შედეგი.

სეზონის წინ გაყიდეს ორი წამყვანი ფეხბურთელი: ბერნარდო კორადი და კრისტიან მანფრედინი. მესამე, ბრაზილიელი ერიბერტო, ახლა რომ გაირკვა, ლუსიანო ყოფილა, ყალბი პასპორტით მაქინაციაში ამხილეს. დისკვალიფიკაციაც მიარჭვეს, მაგრამ ერიბერტო-ლუსიანომ ალალი ცრემლით გული მოულბო დისციპლინარებს, მე ამ საქმეში უცოდველი ვარო და შეინდეს, ბრაზილიელი თამაშს იანვრიდან განაახლებს.

დელ ნერის გუნდში მხოლოდ ერთი კაცი მივიდა, მობერებული გერმანელი ოლივერ ბირჰოფი. „კიევო" კი კვლავაც ლიდერთა მარაქაშია და იმედოვნებს, თუ შარშან არ გაგვიმართლა, საწადელს წლეულს მივაღწევთო. სურვილი კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ყოფილა.

ერთი სიტყვით, ალალია ამ კაცზე თქმა: აფერუმ, დელ ნერი!

### იუვენტუსი

„ბებერი ქალბატონი" მოქმედი ჩემპიონია. სეზონი, „მილანის" არ იყოს, ბრწყინვალედ დაიწყო. ალესანდრო დელ პიეროს არაფრისგან გოლები გაჰქონდა, ტრეზეგეობა ჩინებულად გასწია ახალწვეულმა მარკო დი ვაიომ, ფრანგი ფორვარდი კი ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა. ჩეხი პაველ ნედვედი ახლაც ძლიერია. უნივერსალიაო, ამბობს მარჩელო ლიპი. შარშან თუ ნედვედი მარცხენა ნახევარმცველი გახლდათ, ამ სეზონში პლეიმეიკერობას ითვისებს და წარმატებითაც: საგოლე პასებს უხვად არიგებს და გოლებიც ხშირად გააქვს.

ლიპის თქმით, „იუვენტუსმა" წელს საუკეთესო მატჩი კიევის „დინამოსთან" ჩაატარა, როცა „დელე ალპიზე" უკრაინელები 5:0 გაანადგურა.

შესანიშნავად მოერგო „იუვეს" ახალწვეული მაურო კამორანეზი. მას თურმე წინაპრები იტალიელი ჰყოლია, პასპორტით და დაბადების ადგილით კი არგენტინელია. მარსელო ბიელსამ და ჯოვანი ტრაპატონიმ ერთდროულად ისურვეს კამორანეზი ეროვნულ გუნდში, მაუროსაც საქმე ასარჩევად ჰქონდა და აირჩია: გმადლობთ, დონ ტრაპატონი ნდობისთვის, მაგრამ მე არგენტინის ნაკრებში თამაში მსურსო.

„იუვენტუსი" ახლა სერია A-ს ცხრილში მეხუთეა, თუმც ლიპის ეს არ აშინებს: „ლიდერებთან სხვაობა სულ რაღაც ოთხი ქულაა, წინ კიდევ უამრავი მატჩია" — ამბობს სიგარის მოყვარული მწვრთნელი და მიგვანიშნებს, ჩემპიონობას ეგრე ადვილად როდი დავთმობთო.



ფრანჩესკო ტოტის გარეშე „სტადიო ოლიმპიკო" მკვდარია

### რომა

ვერ ჩაუქრობს ფაბიო კაპელოს გუნდი. თვით „რომას" თავგადაკლულ ქომაგსაც არ სჯერა ჩემპიონობის. სადღაა მრავლისმნახველი კაპელოს გაუვალი დაცვა. ფრანგ ჯონათან ძებინას შეცდომებზე ბავშვებიც კი ხარხარებენ თურმე რომის ქუჩებში. გაუთავებელმა ჩხუბებმა, რომელი სჯობს, დელვეკიო თუ მონტელა, ჩაილურის წყალი დალია მარტივი მიზეზის გამო — ფორმაში არც ერთი არაა. ბრაზილიელი კაფუ ვერ ყოფილა საუკეთესო მარჯვენა ფლანგზე, ბატიგოლი, უბრალოდ ბატისტუტაა.

ერთი კაცი კი რომაელთათვის ხელშეუხებელია. ეს ალბათ მიხვდით, „რომას" თილისმა და ლიდერი ფრანჩესკო ტოტია.

საზოგადოდ, „რომას" ტიფოზები ამბობენ: ტოტი იქნება? ესე იგი, მოვიგებთო. როცა ფრანჩესკო დაშავებულია, „სტადიო ოლიმპიკოს" ტრიბუნები მას ასეთი ტრანსპარანტებით ამხნევებენ: „ტოტი, შენ დიადი ფეხბურთელი, კაპიტანი და მამაკაცი ხარ. ფრანჩესკო, დაგვიბრუნდი!"

კაპელო გამოსავლის ძიებაშია. „რომამ" მოსაგები და პრინციპული თამაშები ვერ მოიგო „ლაციოსთან" და „ინტერთან", ორივეჯერ იგებდა და ორჯერვე ბოლო წუთებზე გაუშვა ბურთები. გამოსავალი კი თურმე ახალი ფეხბურთელების შეძენაა. ასეთებად კი კაპელოს ფრანგი ოლივიე დაკური და „კიევოს" ნიკოლა ლეგროტალიე შეუგულებია.

დიდი ზარ-ზეიმით გადაყვანილ ხოსეპ გვარდიოლას კი მწვრთნელი არ ენდობა, ალმაცერად უყურებს და ფაქტობრივად, არც ათამაშებს.

და ფრანკო სენსი. „რომას" ღრმადპატივცემულმა პრეზიდენტმა წარმატება-წარუმატებლობის ასეთი მიზეზები დაადგინა: იგებს „რომა"? — იგებენ ფეხბურთელები და მწვრთნელი. აგებს „რომა? მას მსაჯები წვავენ, ადრიანო გალიანის და ლუჩანო მოჯის წაქეზებით ემტერებიან. პირველი „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი და იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტია, მოჯი კი „იუვენტუსის" გენერალური მდივანი. სენსი კი ამბობს: „იტალიურ ფეხბურთს ესენი განაგებენ, მათ სურთ, რომ სკუდეტო მხოლოდ „მილანმა" და „იუვენტუსმა" მოიგოს."

**გიორგი მაზაძიძე**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრემიერლიგური დეკადა: 1992-2002

*იმ დროს რა გვეინგლისებოდა — გარეთ გასული შინ ცოცხლად დაბრუნებას ნატრობდა კაცი, ამიტომაც იყო, რომ ინგლისურ ფეხბურთში მომხდარმა გადატრიალებამ ჩვენი ყურადღება არ მიიქცია. დიახ, 1992 წელი იყო, როცა ფეხბურთის სამშობლოს ჩემპიონატის პირველ დივიზიონს პრემიერლიგა დაერქვა*



შარშანდელი ტოტენჰემი — მანჩესტერი საუკეთესო ხუთეულში მოხვდა

საქმე, ცხადია, მხოლოდ სახელის ცვლილებაში როდი იყო. პირველად ისტორიაში ჩემპიონატის ჩატარების სადავეები თავად კლუბებმა ჩაიგდეს ხელში, ფედერაციას კი ოდენ სადისციპლინო და სხვა უმნიშვნელო ფუნქციები დაუტოვეს. წინაალმდეგი არავინ ყოფილა. ყველა მიხვდა, რომ ეს ახალი ელდორადო იქნებოდა.

„არცერთ ათწლეულს არ მოუხდენია ისეთი სასიკეთო გავლენა ჩვენს ფეხბურთზე, როგორც ახლახან გასრულებულს" — თქვა პრემიერლიგის თავმჯდომარემ რიჩარდ სკუდამორმა, როცა პირველი პრემიერლიგური დეკადის შეფასება სთხოვეს და მანაც ფაქტებიც დაახვავა: „1992 წელთან შედარებით მაყურებელთა რაოდენობამ 60 პროცენტით მოიმატა, საშუალო დასწრება კი 34 ათასი გახდა. შედარებისთვის გეტყვით, რომ იტალიასა და ესპანეთში ეს ციფრი 25 ათასს არ აღემატება. რაც შეეხება ფინანსების მთავარ მომზიდველ ტელევიზიას, აქ მთლად საოცარ შედეგს მივაღწიეთ — პრემიერლიგის მატჩების რეპორტაჟები 160 ქვეყანაში გადაიცემა და მათ ერთდროულად 870 მილიონამდე ადამიანი უყურებს". სკუდამორმა ისიც თქვა, ამჟამად პრემიერლიგაში 81 ქვეყნის ფეხბურთელები თამაშობენ და ამ მხრივაც ვჯობივართ სხვებსო.

და მაინც ფული ფულად და, მთავარი ხომ მოედანზე ბურთის გორებაა. ამიტომაც ბრიტანეთის უძველესმა გაზეთმა „თაიმზმა" გუშინდელ ნომერში პრემიერლიგის პირველი ათწლეული სწორედ საფეხბურთო განხრით დააჯამა.

ცხადია, „თაიმზმა" პირველ რიგში 1992-2002 წლების პრემიერლიგის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. უფრო სწორად, ორი ნაკრები: ერთი ბრიტანული და ერთიც ლეგიონერებისა.

ბრიტთა გუნდი ასე გამოიყურება: დევიდ სიმენი — გარი ნევილი, ტონი ადამსი, გარი პალისტერი, სტიუარტ პირსი — დევიდ ბექემი, პოლ ინსი, პოლ სქოულზი, ჯონ ბარნსი — ალან შირერი, მაიკლ ოუენი.

სიმბოლურ გუნდში, ისევე როგორც ჩვეულებრივში, 11 ადგილია. ამიტომაც „თაიმზი" წუხს, რომ საუკეთესოთა მიღმა დარჩნენ რაიან გიგზი (მას ბარნსი ამჯობინეს), პოლ მერსონი, გარი მაკალისტერი (ინსმა აჯობა), რობი ფაულერი, ტედი შერინგემი და ბევრი სხვა ღირსეული.

რაც შეეხებათ უცხოელებს (მათ რიცხვში გაიყვანეს ირლანდიელებიც), მათი „დეკადის გუნდი" ასეთია: პიტერ შმაიხელი — დან პეტრესკუ, პოლ მაკგრათი, მარსელ დესაი, დენის ირვინი — ბენიტო კარბონე, როი კინი, პატრიკ ვიეირა, რობერ პირესი — დენის ბერხკამპი, ტიერი ანრი.

აქ საინტერესო ისაა, რომ შემტევთაგან ოთხი ფეხბურთელი დღევანდელი „არსენალის" შემადგენლობიდანაა, ხოლო ერთი შეხედვით დიდად არაფრით გამორჩეულ ბენიტო კარბონეს „თაიმზი" ასე იცავს: „კარბონეს საშუალო გოლგამტანობას (76 გოლი 137 პრემიერლიგურ მატჩში) მხოლოდ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკისა (80 138-ში) და ანრისა (58 99-ში) სჯობს, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ იტალიელი ამ გოლებს არაელიტარულ „შეფილდ უენსდეის", „ასტონ ვილასა" და „ბრედფორდ სიტის" შემადგენლობებში იტანდა". ყველაზე საოცარია, რომ ამ გუნდში ვერ გამოინახა ერიკ კანტონას ადგილი.

სიმბოლურ ნაკრებებთან ერთად „თაიმზმა" საუკეთესო მატჩების ხუთეული და გოლების ათეულიც შეადგინა.

**გიგა კობახიძე**


პიტერ შმაიხელი პრემიერლიგის საუკეთესო უცხოელ მეკარედ მიიჩნიეს



დენის ბერხკამპის „ნიუკასლისთვის" გატანილი გოლი საუკეთესო ათეულშია

## საუკეთესო მატჩები

| | |
|---|---|
| ლივერპული — ნიუკასლი 4:3 | 1996 წლის აპრილი |
| საუთჰემპტონი — მანჩესტერ იუნაიტედი 6:3 | 1996 წლის ოქტომბერი |
| ლესტერი — არსენალი 3:3 | 1997 წლის აგვისტო |
| ვესტ ჰემი — ბრედფორდი 5:4 | 2000 წლის თებერვალი |
| ტოტენჰემი — მანჩესტერ იუნაიტედი 3:5 | 2001 წლის სექტემბერი |

## საუკეთესო გოლები

| | | |
|---|---|---|
| დელიან ატკინსონი | უიმბლდონი — ასტონ ვილა | 1992 წლის ოქტომბერი |
| მეტ ლე ტისიე | საუთჰემპტონი — ნიუკასლი | 1993 წლის ოქტომბერი |
| მეტ ლე ტისიე | ბლექბერნი — საუთჰემპტონი | 1994 წლის ოქტომბერი |
| ტონი იებოა | უიმბლდონი — ლიდსი | 1995 წლის სექტემბერი |
| დევიდ ბექემი | უიმბლდონი — მანჩესტერ იუნაიტედი | 1996 წლის აგვისტო |
| ერიკ კანტონა | მანჩესტერ იუნაიტედი — სანდერლენდი | 1996 წლის დეკემბერი |
| დენის ბერხკამპი | ლესტერი — არსენალი | 1997 წლის აგვისტო |
| პაოლო დი კანიო | ვესტ ჰემი — უიმბლდონი | 2000 წლის მარტი |
| ტიერი ანრი | არსენალი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2000 წლის იანვარი |
| დენის ბერხკამპი | ნიუკასლი — არსენალი | 2002 წლის თებერვალი |




# ცხადია, ფლორენტინო
## სადაც გაიხედავ, ყველგან პერესი და მისი ხალხია

**მოკლედ**, არ დამთავრდა მადრიდის „რეალის" ქება და დიდება. ესპანურმა გრანდმა თავის 100 წლის იუბილეზე მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო, ანუ „ტოიოტას" თასი. ამასთან ფიფამ გალა-დაჯილდოებაზე „რეალი" წლის გუნდადაც მონათლა.

ფეხბურთელებზე ხომ არაფერს ვამბობთ. ბრაზილიელი რონალდო მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, ფრანგი ზინედინ ზიდანი მსოფლიოში მესამე კაცია, რობერტო კარლოსი კი ევროპაში მეორე.

თითქოს ყველაფერიც დასრულდა, მაგრამ ესპანურმა გაზეთმა „ელ მუნდომ" (ეს გამოცემა „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაშიც იღებს მონაწილეობას) ვერ მოისვენა და... საშობაოდ „რეალის" პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს ჩინებული საჩუქარი მოუმზადა.

გაზეთმა გამოკითხვა მოაწყო — ვინ არის წლის საუკეთესო მამაკაცი. „ელ მუნდოს" მკითხველებმაც თითქოს პირი შეკრესო, ერთხმად პერესი თქვეს.

„ფლორენტინო პერესი მარტო „რეალის" პრეზიდენტობით როდი გახდა რჩეული. იგი ბრწყინვალე ბიზნესმენიცაა. გახლავთ მსხვილი სამშენებლო კომპანიის „ეი-სი-ეს"-ის მფლობელი, რომელიც წარმატებით საქმიანობს როგორც ესპანეთში, ასევე მის გარეთ. სწორედ პერესის გამჭრიახობამ და საქმისადმი ჩინებულმა მიდგომამ გამოასწორა კლუბში ფინანსური ვითარება" — ვკითხულობთ გაზეთში.

ფიგუ, ზიდანი, რონალდო — ეს სუპერფეხბურთელები სწორედ ფლორენტინო პერესის ძალისხმევით მოხვდნენ „რეალში".

იგივე „ელ მუნდოს" მტკიცებით, ესპანეთის წლის კაცი თურმე ამაზე გაჩერებას არ აპირებს და უახლოეს ხანში „სანტიაგო ბერნაბეუზე" არაერთი ექსტრაკლასის მოთამაშე გამოჩნდება.

ერთი სიტყვით, ესეც თქვენი პერესი.

**დათო კობალიანი**

### ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „არსენალის" სათადარიგო მეკარე რამი შაბანი ვარჯიშისას დაშავდა. გოლკიპერმა ერთ-ერთ თანაგუნდელთან შეჯახებისას ფეხი მოიტეხა და ახლა რამდენიმეთვიანი მკურნალობა მოუწევს.

**იტალიური „იუვენტუსის" ჩილელ ფორვარდ მარსელო სალასს „ბარსელონაში" გადასვლა არ სურს, რაზეც ბოლო ხანს ბევრს ლაპარაკობდნენ. „მართალია, ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში აღარ ვჩნდები, მაგრამ ამის გამო კლუბიდან კი არ უნდა გავიქცე, არამედ ბევრი ვიმუშაო" — განაცხადა სალასმა.**

**ინგლისურმა** „ევერტონმა" ეგვიპტელი მცველი იბრაჰიმ საიდი ხუთი თვით იჯარით გადაიბირა. 24 წლის ფეხბურთელი ადრე ეგვიპტურ „ალ-აჰლიში" ბურთაობდა და წინა ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

**უკრაინის ჩემპიონმა დონეცკის „შახტარმა" რუსული „მოსტრანსგაზის" 18 წლის თავდამსხმელ ტიმურ ხამიტოვს დაადგა თვალი. ფეხბურთელი რუსთა ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატია და გასულ წელს სტაჟირება იტალიურ „მილანში" გაიარა.**

**ინგლისური** „ევერტონის" მეკარე რიჩარდ რაიტს ორივე დუბლიორი — სტივენ სიმონსენი და პოლ ჯერარდი დაუშავდა. ერთი მეკარით თამაში კი გუნდის თავკაცმა დევიდ მოიესმა ვერ გაბედა და რაიტს ახალი შემცვლელი, ნორვეგიელი ესპენ ბაარდსენი მოუყვანა. „ძნელია, რაიტისნაირ დიდებულ მეკარეს შეენაცვლო, თუმცა, მაინც ვეცდები, გუნდს იმედი გავუმართლო" — განაცხადა ბაარდსენმა. ცნობისთვის, ბაარდსენს 1998 წლის მუნდიალზე უთამაშია.

**ესპანურმა „ბარსელონამ" ინგლისური „ჩელსის" ფორვარდის ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის შეძენა გადაიფიქრა ჰოლანდიელის დიდი ფასის გამო (18 მილიონი ევრო). ამჟამად კატალონიელები გუნდის გასაძლიერებლად შედარებით იაფ ფეხბურთელებს ეძებენ.**

**პერუს**, ბოლივიის, კოლუმბიის, ეკვადორისა და ვენესუელის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ამ დღეებში შეიკრიბებიან და 2014 წლის მუნდიალის ერთად მასპინძლობაზე მოილაპარაკებენ. სამხრეთამერიკელებს დიდი იმედი აქვთ, რომ 12 წლის შემდეგ ჩემპიონატი მათ კონტინენტზე გაიმართება, რადგან ფიფას ინიციატივით, მსოფლიოს ჩემპიონატები ყველა კონტინენტზე რიგრიგობით უნდა ჩატარდეს.

# შეუქეთ ანჩელოტის დაცვა
## ჟონგლიორები და მოურიდებელი კალაძე



*ამას წინათ სილვიო ბერლუსკონიმ თქვა, „მილანში" ახალი ერა დაიწყო და იგი კარლო ანჩელოტისა იქნებაო. ვინ ვინ და, ბერლუსკონიმ იცის, რა არის ერა. გაიხსენეთ არიგო საკის დროინდელი „მილანი", ანაც კაპელოს დაუმარცხებელი გუნდი.*

*გადაჭრით ვერ ვიტყვით, ანჩელოტის „როსონერი" ისეთივე მძლავრი და მობილური იქნება, როგორი გუნდებიც საკი-კაპელოს ჰყავდათო, თუმც ფაქტი ერთს ნამდვილად ღაღადებს — 1995 წლის მერე „მილანმა" პირველად უნია საშობაოდ სერია A-ს კენწეროს.*

*ერთი სიტყვით, „მილანი" იტალიის ჩემპიონატის ლიდერია — მერე რა, რომ თანაქალაქელ და მოძულე „ინტერთან" ერთად — კარლო ანჩელოტის საკმაოდ სიმპათიური გუნდი სამივე ტურნირის (სერია A, ჩემპიონთა ლიგა, იტალიის თასი) უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი ფავორიტია.*

*„შავ-წითლებს" არდადეგების წინ გუნება ნაუხდათ. წლეულს „სან სიროზე" პირველად ვერ მოიგეს სერიული მატჩი, რამაც ბერლუსკონის გულისწყრომა გამოიწვია.*

*მოკლედ, კარლო ანჩელოტის ინტერვიუს გთავაზობთ. აბა, თმაშევერცხლილ მწვრთნელზე უკეთ ვინ შეაფასებს „მილანის" წარმატება-წარუმატებლობებს...*

— სინიორ ანჩელოტი, ნათქვამია, თამაშს იგებენ ფეხბურთელები, აგებენ მწვრთნელებიო, ეთანხმებით?

— ნაწილობრივ. რას ვიზამთ, ასეთია მწვრთნელის ხვედრი. გამოსავალი კი ისაა, რომ გუნდმა ყველა თამაში უნდა მოიგოს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ აუგად ვერ მოგვიხსენიებენ.

— სილვიო ბერლუსკონის „მილანის" თავდასხმა შევჩენკო-ინძაგის წყვილის გარეშე ვერ წარმოუდგენია. თქვენ?

— საბედნიეროდ, ახლა „მილანს" ფორვარდები არ აკლია: შევჩენკო, ინძაგი, რივალდო, ტომასონი, ახალგაზრდა ბორიელო. ცხადია, ყველა ერთდროულად ვერ ითამაშებს. არჩევანი დიდია, ვინც უკეთ იქნება კონკრეტული მატჩისთვის მზად, სასტარტოშიც ის მოხვდება.

— „მილანის" ბოსებმა წლეულს სამივე ტურნირის, სერია A-ს, ჩემპიონთა ლიგისა და იტალიის თასის მოგება დაგისახეს მიზნად. შეძლებთ?

— გულახდილად გეტყვით, ძნელი იქნება. ისე, „მილანი" სამივე ტიტულის მოგებას ეცდება, ამას გპირდებით.

— გუნდს ისეთი თავდამსხმელები ჰყავს, უბრალოდ, სირცხვილიც იქნება, წარმატებაზე არ იფიქროთ...

— ყველა ჩვენს ფორვარდებზე საუბრობს, მე კი მცველებს უფრო გამოვარჩევდი.

— მწვრთნელი ხართ და უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ რატომ მაინცდამაინც მცველები?

— ფაქტები მოვიშველიოთ. იტალიის ჩემპიონატის 15 მატჩში „მილანმა" 10 ბურთი გაუშვა, ყველაზე ცოტა. ჩემპიონთა ლიგის 10 მატჩში 9-ჯერ გაგვიტანეს გოლი. ვფიქრობ, ურიგო შედეგი არ გვაქვს. ის, რომ გუნდს შეტევის ხაზში უზარმაზარი პოტენციალი აქვს, ვიცოდი. ჩემთვის უმთავრესი უკანა ხაზის დაკომპლექტება-დაბალანსება იყო. ალბათ, ეს მოვახერხე და სწორედ ამიტომ გავამახვილე ყურადღება დაცვაზე.

— მაშინ ისიც ვთქვათ, „მილანის" დაცვა რომ ბრწყინვალეა, ეს ხომ პაოლო მალდინის დამსახურებაა. ნესტა-მალდინის დუეტი დაცვის ცენტრში არა მარტო იტალიაში, მსოფლიოშიც საუკეთესოა...

— გეთანხმებით. ბრწყინვალე კაპიტანი გვყავს. შარშან მალდინი ტრავმებს ებრძოდა და რიგიანად ვერც თამაშობდა. ბევრმა ისიც თქვა, მორჩა, პაოლო მალდინის მზე ჩაესვენაო. ოპონენტებს პაოლომ ჩინებულად უპასუხა.

— წლეულს მალდინიმ დაცვის მარცხენა ფლანგიდან ცენტრში გადაინაცვლა. როგორ ფიქრობთ, ქართველმა კალაძემ ის სრულფასოვნად შეცვალა?

— კალაძის თამაშით კმაყოფილი ვარ. ის სტაბილურობით გამოირჩევა. მისი ფუნქციაც გაითვალისწინეთ: თუ დარიო შიმიჩი მარჯვენა ფლანგზე უფრო დაცვაზეა ორიენტირებული, კალაძე შეტევისთვისაც იცლის, წინ მოურიდებლად და ეფექტურად მიიწევს.

— ალესანდრო ნესტაზე რას იტყვით, როგორ შეძლეთ მისთვის საბრძოლო განწყობა დაგებრუნებინათ. რამდენჯერმე ხომ ნაღდად ჩაიკარგა მინდორზე...

— მიზეზი ის გახლავთ, რომ ალესანდროს შეკრება გუნდთან ერთად არ გაუვლია. „მილანში" გადმოვიდა თუ არა, ფაქტობრივად პირდაპირ მინდორზე მოუწია გასვლა. დატვირთვებს ვერ გაუძლო და ოპტიმალური ფორმის აღსადგენად გადავწყვიტე, დამესვენებინა. მისით ძალიან კმაყოფილი ვარ. საკუთარ თავზე ბევრიც იმუშავა და უფასდება: ალესანდრო ნესტამ „მილანის" დაცვა შეკრა და მალდინისთან ერთად ფაქტობრივად გაუვალი გახადა.

— კარგით. დაცვას შევეშვათ და ახლა შეტევაზე გადავერთოთ. სეზონის დასაწყისში „მილანი" ერთდროულად შედეგიან და ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. ორი თვის მერე ეს სილამაზე სადღაც გაქრა, თუმც აღარც შედეგით გამოირჩევით, მიზეზი?

— ვერ დაგეთანხმებით. მართალია, პირველი ორი თვე ბრწყინვალედ ვითამაშეთ და ბევრი გოლიც გავიტანეთ, მაგრამ არა მგონია, ქომაგები ნოემბერ-დეკემბრის შედეგებით ნაწყენნი იყვნენ. პრინციპული თამაშები მოვუგეთ „ინტერს", „რომას", „რეალს", „დორტმუნდს". ამ მატჩებმა ცხადყო, რომ „მილანი" ეფექტურად იყენებს საგოლე მომენტებს მაშინაც, როცა თამაში არ მისდის.

— რა უნდა გააკეთოთ თამაშის ხარისხის გასაუმჯობესებლად?

— ბურთს უფრო მეტად და ეფექტურად უნდა ვფლობდეთ. ყოფილა შემთხვევები, რომ თამაშის მსვლელობისას ჩემი ფეხბურთელები ბურთით ზომაზე მეტად ჟონგლიორობენ, მთავარი კი ავიწყდებათ: სწრაფი შეტევა და მეტოქის მცველების დაბნევა.

— „მილანი" ჩემპიონატის ლიდერია და საშობაოდ ისვენებს. არდადეგები გუნდს წაადგება თუ პირიქით?

— ცხადია, წაადგება. ფეხბურთელები ადამიანები არიან და არა რობოტები. ბიჭები როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად აშკარად გადაიღალნენ. წინ გრძელი სეზონი გველის და მთავარი მატჩებიც ახლა იწყება. ფეხბურთელებს კონტროლს ვერ დავუწესებ, ისინი უჩემოდაც პროფესიონალები არიან და იციან ნაყოფიერად დასვენების ფასი.

— და მაინც, რაშია „მილანის" წარმატებული და ეფექტური თამაშის საიდუმლო?

— გუნდურ სულისკვეთებაში. ბიჭები ერთმანეთს ჩინებულად უგებენ, იციან, რომ ყოველდღიურ ვარჯიშებზე სრულად თუ არ დაიხარჯნენ, შედეგს ვერ მოიმკი. შემადგენლობის ხშირი ცვლის გამო ბევრი რეგულარულად ვერ თამაშობს და შესაძლოა, ნაწყენიც დარჩეს. წყენას კი მათში ვერ ვხედავ, ისინი დიდ კლუბში თამაშობენ და იციან მისი ფასი. მეც სწორედ ეს მახარებს, საქმისადმი პროფესიული მიდგომით ხამუშაოს მიიღებენ. ჩემს ფეხბურთელებს მოტივაცია არასდროს განელებიათ და ამაშიც არის მათი ძალა.



კარლო ანჩელოტი ფეხბურთელებთან ვარჯიშს არ თმარებს

# შობის დღესასწაული პიერლუიჯი კოლინასთვის
## არ ვჭამ, არ ვსვამ, მხოლოდ ვუსტვენ

**ევროპაში** აცივდა, მაგრამ რაც მეტად ფუჭდება ამინდი, მით მეტად გაათბობს იტალიელ მსაჯს, პიერლუიჯი კოლინას 2002 წლის ზაფხულის მოგონება.



დედამიწის ყველაზე ცნობილმა არბიტრმა კარიერის მწვერვალს მაშინ უწია, როდესაც ფიფამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მსაჯად დანიშნა. მას მერე, რაც მან ევროპულ პიკს მიაღწია და 1999 წლის ჩემპიონთა თასის ფინალს („მანჩესტერ იუნაიტედი" — „ბაიერნი") გაუძღვა, დიდი დრო იყო გასული, ახლა კი მიზანი მიღწეულია და კოლინას თავისუფლად შეუძლია ცოლ-შვილთან ერთად უდარდელად მიუჯდეს საშობაო ნაძვის ხეს.

„შობა განსაკუთრებული ზეიმია, გარშემო საგანგებო ატმოსფერო იგრძნობა — ამბობს იტალიელი მსაჯი — მახსოვს, ბავშვობაში ფეხბურთის ბუცებს მჩუქნიდნენ ხოლმე. ჩვენთან შობაზე ოჯახები იკრიბება და ერთად დღესასწაულობს. ხალხი გემრიელ სადილს ამზადებს და ეკლესიაში დადის. ახლაც, მე და ჩემი ოჯახის წევრები თავს მოვიყრით და მერე სადმე თბილ ადგილას წავალთ დასასვენებლად".

დღეს, მსოფლიოში გამორჩეული მსაჯობა იმას ნიშნავს, რომ ადამიანი მუდმივად უნდა აკონტროლებდეს თავს, უნდა აწონ-დაწონოს, რას ჭამს და რას სვამს.

„საბედნიეროდ, ჭამა-სმის დიდი მოყვარული არ გახლავართ — განაგრძნობს ის — ვჭამ, რათა ვიცოცხლო და ამიტომაც დიეტა ჩემთვის პრობლემა არ არის. წლეულს, აღრინდელისგან განსხვავებით, ორი კვირის ნაცვლად დასასვენებლად სამი კვირა მოგვცეს და ამ პერიოდს მოსამზადებლად გამოვიყენებ".

როგორც ირკვევა, კოლინა ის კაცი არ არის, რომელიც ახალ წელიწადს და ახალი ცხოვრების დაწყებას ერთმანეთს უკავშირებს.

„არა, არ მწამს, რომ ახალი ცხოვრების დასაწყებად ახალ წელიწადს უნდა ელოდო. თუ კაცს რაიმეს გამოცვლა გინდა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოცვალო. საახალწლო სურვილები და იმედი კი ისა მაქვს, რომ მინდა იღბალმა ზურგი არ მაქციოს და ძველებურად გაგრძელდეს ყველაფერი, როგორც ჩემი ოჯახისთვის, ასევე პირადად ჩემთვის".

**მარკ ჩაპლინი, როიტერი**



სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ბიომემ ასაუერს დაანახა შალკეს ღალატი სამშობლოს ღალატი ყოფილა

*ბუნდესლიგაში სიტყვის ახალი ასოციაცია გაჩნდა. ამიერიდან სიტყვა გამყიდველის ან მოღალატის ხსენებაზე ყველას გელზენკირხენის „შალკესა“ და გერმანიის ნაკრების 28 წლის ნახევარმცველი იორგ ბიომე გაახსენდება. „იუდა“, „მოღალატე“, „გამყიდველი“ — სწორედ ასე მოიხსენიებენ ქომაგები იმ ფეხბურთელს, რომელსაც ცოტა ხნის წინ ეთაყვანებოდნენ.*

*ამის მიზეზი კი რამდენიმე დღის წინ ამოქექილი საქმე გახდა: 9 ნოემბერს „შალკე“ „ლევერკუზენს“ მასპინძლობდა, ჰოდა, ფეხბურთელს გელზენკირხენელთა შემადგენლობისა და ტაქტიკის მოწინააღმდეგისთვის გამხელას აბრალებენ. ეს მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოხდა და ლევერკუზენელთა თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმაც სასწრაფოდ ცვლილებები შეიტანა შემადგენლობაშიო, ამბობენ ბოროტი ენები.*

*რამდენიმე დღის წინ ბიომეს საქმე ძალიან ცუდად იყო, ქომაგები მის გუნდიდან გაგდებას ითხოვდნენ, „შალკეს“ მენეჯერმა რუდი ასაუერმაც, ყველაფერს გავარკვევ და თუ მართლა ეგრეა, ფეხბურთელს, მისი დიდი დამსახურების მიუხედავად, წამიც არ გავაჩერებ გუნდშიო. „ბიომემ თუ მართლა გაგვყიდა, ეგ მარტო ჩვენი კი არა, ქვეყნის ღალატიც იქნება“ — განაცხადა ასაუერმა, ხელები დაიკაპიწა და სიმართლის დადგენას შეუდგა...*

ვანო ოქრობირიძე

ბერლინიდან



**თუმცა** ამ ამბავს წინ უძღოდა სხვა ამბავი. კერძოდ ის, რომ ბიომეს ბოლო დროს კლუბში საქმეები აერია. ვარჯიშებზე ხშირად აგვიანებდა, რასაც გზებზე ავტომანქანების საცობებით ხსნიდა. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელი გელზენკირხენიდან ცოტა მოშორებით ცხოვრობს და გზაში საათნახევარი სჭირდება. ჰოდა, გუნდის თავკაცმა ფრანკ ნოიბარტმაც ბოლო დროს აითვალწუნა და დისციპლინის დარღვევისთვის ხშირად სათადარიგოთა სკამს ახეხინებდა. „ბაიერნთან“ პირველი წრის ბოლო მატჩის წინაც, ბაზაზე დარჩენის ნაცვლად შუაღამისას სახლში წავიდა, თამაშის მერე კი არც კლუბის წინასაშობაო წვეულებაზე იკადრა მისვლა. ერთი სიტყვით, ბიომე ბოლო დროს საკუთარ თავს არ ჰგავდა და აი, პიკსაც ახლახან მიაღწია.

„როგორც ვატყობ, ყველაფერი ცუდად დამთავრდება. მე ბიომეს ადგილს გუნდში ველარ ვხედავ“ — ხმამაღლა განაცხადა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა იოზეფ შნუზენბერგმა. თუმცა ასაუერმა, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებთ, ყველაფერი უნდა გავარკვიოთო. და გამოძიებაც დაიწყო.

ვერსია ასეთი იყო. თამაშის წინ ბიომეს თავისი ლევერკუზენელი მეგობრისთვის, ნაკრებში თანაგუნდელი ბერნდ შნაიდერისთვის დაურეკავს და უთქვამს, ნოიბარტმა სასტარტო შემადგენლობაში არ დამაყენა, მარცხენა ფლანგიდან ჩემს ნაცვლად ემილ მპენზა შემოგიტევთო. შნაიდერმა ეს ამბავი მწვრთნელს მოახსენა და ტოპმიოლერმაც სასწრაფოდ ტაქტიკა შეცვალა, მოედნის ცენტრში გამწესებული ლუსიო დაცვის მარჯვენა ფლანგზე გადაიყვანა.

ლუსიომ დავალება ჩინებულად შეასრულა, მპენზა თამაშიდან გამოთიშა და „ლევერკუზენმაც“ 1:0 დაამარცხა სტუმრად მეტოქე.

დაურეკა თუ არა ბიომემ შნაიდერს? „იორგმა მართლაც დამირეკა, მაგრამ ჯერ ერთი, ეს წინადღეს, პარასკევს მოხდა და მეორეც, საუბარი მხოლოდ პირადულ თემებს შეეხებოდა“ — განმარტა შნაიდერმა.

„თამაშის წინ ვფიქრობდი, რომ ბიომე ითამაშებდა. ტაქტიკა კი თამაშამდე რამდენიმე წუთით ადრე შევცვალე“ — ტოპმიოლერის ეს განცხადება კი ბიომეს სასარგებლოდ არ მეტყველებს. მოგვიანებით მწვრთნელმა ისიც თქვა, მატჩის წინ რაღაც ცნობები მართლაც მოგვაწოდეს, მაგრამ ინფორმაციის წყარო „შალკეს“ ფეხბურთელი არ ყოფილაო.

„ყველაფერი აბსურდია, მე არაფერი და არავინ გამიყიდია. წინასამატჩო თეორია თორმეტის ნახევარზე გვქონდა. ამის შემდეგ თამაშამდე მხოლოდ ერთხელ ვისარგებლე ტელეფონით და მაშინაც ჩემს მეუღლეს ვესაუბრე. შნაიდერი სტადიონზელა ვნახე“ — ასე იმართლებს თავს ბრალდებული.

თუმცა კიოლნში გამომავალი გაზეთი „ექსპრესი“ სხვა აზრზეა. „ჯაშუშმა 12 საათისთვის დარეკა და მნიშვნელოვანი ინფორმაცია დატოვა: მარცხნიდან მპენზა შემოგიტევთ“ — წერს გაზეთი, თუმცა ჯაშუში ბიომე იყო თუ ვინმე სხვა, ამას აღარ ამტკიცაკონკრეტებს.

ასაუერმა კი, როგორც ნამდვილ გამომძიებელს შეშვენის, დაკითხვები მოაწყო. მან ჯერ შნაიდერს დაურეკა, მერე ტოპმიოლერს, ამის შემდეგ კი პრესას ეს უთხრა: „ტოპი აცხადებს, რომ მან ჩვენი შემადგენლობა თამაშამდე საათნახევრით ადრე შეიტყო. თუმცა მე ვატყობ, რომ იგი ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებს, ხან საათნახევარს მეუბნება, მერე თქვა, წინა დღითაც ვიცოდიო და ასე შემდეგ. ბევრის დადგენა ვერც შნაიდერისგან შევძელი, იგი ხომ ბიომეს ახლო მეგობარია. ასე რომ, ერთი გზა მრჩება, ბიომეს პირისპირ შევხვდები და კაცურად დაველაპარაკები. მე მას ვიცნობ, თუ დამნაშავეა, თვალის გასწორებას ვერ შეძლებს და სიმართლეს მეტყვის.“

ასაუერი ამას რომ ამბობდა, თან მალულად „შტუტგარტთან“ იოხენ ზაიცის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებდა. 26 წლის ზაიცი სწორედ ბიომეს ამპლუის ფეხბურთელია. ჰოდა, ასაური ამ ამბავს ჟურნალისტებს გამოაპარებდა? პრესაც ცნობებით აჭრელდა, „შალკემ“ ბიომეს გაგდება გადაწყვიტა და შემცვლელიც იპოვაო. თუმცა ასეთ შემთხვევაში უკლებოდ არც ბიომე დარჩება. მისი გადაბირებით იცით ვინ არის დაინტერესებული? დიახ, „ლევერკუზენი“. ამ ფაქტის გამო ბევრს ბიომეს მოღალატეობაში ეჭვიც აღარ ეპარება.

„ჩვენ უკვე ბიომესაც ველაპარაკეთ და მის აგენტ მილევსკისაც. თუმცა რამე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისგან თავს ვიკავებთ. როცა „შალკე“ მის ბედს გადაწყვეტს, ჩვენც მერე გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს. ერთს კი ვიტყვი, ბიომე კარგი ფეხბურთელია და მისით დაინტერესებულნი ვართ. იგი მარცხენა ფლანგზე ზე რობერტოს შემცვლელად გვესახება“ — თქვა ტოპმიოლერმა.

აღსანიშნავია, რომ ბიომეს სასწრაფოდ გაყიდვით თავად „შალკეც“ დაინტერესებულია, რადგან ფეხბურთელს სეზონის ბოლოს კლუბთან კონტრაქტი უსრულდება და მერე როგორც თავისუფალი აგენტი, ისე შეეძლება სხვა გუნდში გადასვლა, რითაც გელზენკირხენელები რამდენიმე მილიონ ევროს უეჭველად დაკარგავენ.

და როგორც იქნა, შობის წინ ყველაფერს ნათელი მოეფინა. ასაუერმა ბიომე კლუბის ოფისში დაიბარა. შეხვედრა 12:30 საათზე იყო დაგეგმილი, მაგრამ ასაუერმა, როგორც ჩანს, ფეხბურთელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება გადაწყვიტა, გერმანულ პუნქტუალობას უგანა და ქვეშევრდომს 50-წუთიანი ლოდინით გული გაუწვრილა. შეიძლება, ასაუერი იმასაც ფიქრობდა, ამდენი ლოდინით გაცეცხლებული ბიომე ყველაფერს პირში მომახლისო, მაგრამ...

პირისპირ შეხვედრა, გაზეთ „ბილდის“ თუ ვერწმუნებით, 87 წუთს გაგრძელდა. უპირველეს ყოვლისა, ასაუერმა ფეხბურთელს მთავარ კითხვაზე პასუხი მოსთხოვა.

— მიპასუხე, ჰო ან არა, დამანახე, რომ მხდალი არ ხარ. სხვანაირი პასუხი მე არ მაინტერესებს — კატეგორიული ტონით მიუმართავს ასაუერს ფეხბურთელისთვის.

— ვფიცავ, მე არავინ გამიყიდია — იყო პასუხი.

— კარგი, ამით ეს საკითხი ამოწურულია.

დაახლოებით ასეთი დიალოგი გამართულა ასაუერის კაბინეტში. მერე კი მენეჯერმა და ფეხბურთელმა სხვა საკითხებზეც დაილაპარაკეს და საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ბიომეს დარჩენა-წასვლის საკითხს 3 იანვარს გადაწყვეტენ, როცა გუნდი შვებულებიდან დაბრუნდება და ბიომეც საწვრთნელ ბაზას აგენტ იურგენ მილევსკისთან ერთად ეწვევა. ასევე გადაწყდა, რომ ბიომეს „შალკეში“ დარჩენის შემთხვევაში, ფეხბურთელი საცხოვრებლად გელზენკირხენში გადავა, რათა გზატკეცილზე არსებულ საცობებს თავი აარიდოს და ვარჯიშებზე დროულად მივიდეს.



ბიქსენტ ლიზარაზუ და ჯოვანი ელბერი ახალ წელს ჭიქებს ვერ მიუჭახუნებენ

# ბაიერნი დაიშალა

## ფეხბურთელები მსოფლიოს მოედვნენ, ჰიცფელდი კი შვეიცარიაში გაიქცა

**მიუნხენის** „ბაიერნის“ საშობაო არდადეგები არცთუ ხანგრძლივი იქნება. შეკრება 4 იანვარს იწყება, 5-ში კი ოტმარ ჰიცფელდს გუნდი ტრადიციულად ესპანეთში „ბაიერნის“ მიჰყავს. მანამდე კი, ბავარიელები სხვადასხვა კონტინენტზე მიმოიფანტნენ. ორიოდე თავისუფალ კვირას კლუბის ბრაზილიელები სამშობლოში გაატარებენ. ელბერსა და ზე რობერტოს ბრაზილიაში პარაგვაელი როკე სანტა კრუზიც ძმებთან ერთად. სანტა კრუზი ბრაზილიაში ლაღობის შემდეგ აპირებს სამშობლოში ჩასვლას. სხვათა შორის, ამ სამეულიდან ყველაზე ბუნდოვნად ელბერის ბაიერნული მომავალი ჩანს. ბოლო ხანებში ლაპარაკობენ, რომ მას გუნდის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება აქვს. ამერიკის კონტინენტზე, ოღონდ კანადაში გაემგზავრა იქ დაბადებული ინგლისელი ოუენ ჰარგრივსი. შავ კონტინენტს მიაშურა განელმა სამი კუფურმა. ბიქსენტ ლიზარაზუ კი შობას მშობლიურ ქალაქ სენტ ჟან დე ლუზში ატარებს. გერმანიაში არც „ბაიერნის“ გერმანელები რჩებიან. ოლივერ კანმა, მიხაელ ბალაკმა და მიხაელ ტარნატმა ავსტრიაში თხილამურობა მოიწადინეს. განუყრელი მეგობრები, ტორსტენ ფინკი და ალექსანდრ ციკლერი მალდივის კუნძულებზე ეფიცხებიან მზეს. ლეგიონერთაგან გერმანიაში, პაბლო ტიამი დარჩა. გერმანიაშივეა კლუბის მეორე მეკარე შტეფან ვესელსიც. მან მეგობარ გოგონასთან ერთად მშობლიურ ლინგენს მიაშურა. ჯერჯერობით მხოლოდ სებასტიან დაისლერს არ სცოდნია, საშობაოდ საით წასულიყო. შვედეთის საზღვრისკენ გავსწევ, თუ გზაში არ გადავიფიქრეო, ასე უთხრა დაისლერმა ჟურნალისტებს „ბაიერნის“ წინასაშობაო ბანკეტზე. ხორვატიაში, კერძოდ კი რობერტ კოვაჩის ოჯახში გაატარებენ არდადეგებს ძმები კოვაჩები. თავად ჰერ ოტმარი შვეიცარიისკენ აპირებდა გეზის აღებას. ყველაზე დიდხანს კი მიუნხენს კარლ-ჰაინც რუმენიგე შემორჩება. შობას მიუნხენში შეხვდა, ახალი წლის გათენებას კი კუნძულ სილტზე აპირებს, ცხადია, ოჯახთან ერთად.

**სერგი ქორიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ალფის ბედისწერა

# რეალი, ჰაერი, ცეცხლი



*„რეალის" დაარსებიდან 50-ე წლისთავზე მადრიდში საიუბილეო ტურნირი გაიმართა. გასაგებია, რომ „სამეფო კლუბს" წინასწარ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ზეიმი არ შედგა. ფინალში „რეალი" კოლუმბიის „მილიონარისთან" დამარცხდა. იმ მატჩში მადრიდელებს ორი გოლი ალფრედო დი სტეფანომ გაუტანა. მისი თამაშის შემხედვარე „რეალის" პრეზიდენტ სანტიაგო ბერნაბეუს აღმოხდა: „ეს ბიჭი კარგად თამაშობს. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენი უნდა გახდეს." ახლა, „რეალის" საუკუნოვანი იუბილისას, იმ ამბიდან 50 წლის თავზე, ალფრედო დი სტეფანო კლუბის საპატიო პრეზიდენტია*

**ალფრედო დი სტეფანო** 1926 წელს, ბუენოს აირესში, იტალიელი ემიგრანტის ოჯახში დაიბადა. გარდა იტალიურისა, მისი ძარღვები არგენტინული, ფრანგული და ინგლისური სისხლითაც არის გაჯერებული.

თავის დროზე, ჯეელობაში, მამამისიც ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ ტრავმამ კარიერის გაგრძელების საშუალება არ მისცა. მინდორს ჩამოშორებული კაცი სიმღერამ გაიტაცა და თავს ლილინით ირთობდა.

ალფრედოს ორი ძმა ჰყავდა, თუმცა მამამ სწორედ ის ამოიყენა გვერდით შინამეურნეობაში დასახმარებლად.

დროდადრო ბიჭი ქალაქში სიამოვნებით წაითამაშებდა ხოლმე ფეხბურთს. თავიდან კაუჩუკის ბურთით ვარჯიშობდა, რაც სამომავლოდ დიდად წაადგა, რადგან კაუჩუკის მორჯულებას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდებოდა.

მალე ალფრედომ ნამდვილი ბურთი მოიგდო ფეხებში და თავის პირველ გუნდშიც ათამაშდა, რომელსაც საკმაოდ ორიგინალური სახელი ჰქონდა: „გავერთიანდეთ და მოვიგოთ". „ალფი", რა თქმა უნდა, სხვებზე უკეთ ბურთაობდა, ამიტომაც სინჯებზე „რივერ პლეიტში" აღმოჩნდა. მის გარდა დიდ გუნდში მოხვედრის მსურველი ბარე 100 ბიჭი იყო, მაგრამ ორნი აიყვანეს — დი სტეფანო და მისი დამქაში სალვუჩი.

„რივერ პლეიტის" ყმაწვილთა შორის მოთამაშე „ალფი" გამარჯვების შემთხვევაში 20 პესოს იღებდა, თუმცა მთავარ ბიჭებში, უფროსებში გასვლის შანსი ნაკლებად ჰქონდა. მაშინ „რივერის" ძირითად შემადგენლობაში სახელოვანი ფეხბურთელები თამაშობდნენ. მიუხედავად ამისა, კლუბის მეპატრონენი ალფრედოს გაშვებას არ აპირებდნენ.

ბიჭი მაინც აღმოჩნდა სხვა კლუბში. „ურაკანის" მფლობელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა დუკომ იგი... იარაღის ძალით გადაიბირა. არავითარი ფურცელი, კალამი და კონტრაქტის პირობების შეთანხმება. უბრალოდ, იარაღით და მორჩა.

„ურაკანში" დი სტეფანო გაიხსნა, მაგრამ დუკოს ლულის ქვეშ დიდხანს არ დარჩენილა. ის „რივერ პლეიტისა" იყო.

1945 წელს „რივერთან" ერთად ბრაზილიაში თვითმფრინავით გაემგზავრა. თვითმფრინავის ერთ-ერთ ნაწილს ჰაერში ცეცხლი გაუჩნდა. მფრინავებმა ძლივს მოახერხეს აღმოდებულის დასმა. ალფრედო, როგორც შემდგომში თავად თქვა, მართლაც გვარიანად შეშინდა. მას შემდეგ ნებისმიერი გადაფრენა მისთვის სატანჯველად იქცა.

მალე ბიჭს სავალდებულო სამხედრო სამსახურმა მიუკაკუნა. იგი გაიწვიეს და ერთ-ერთ ნაწილში იარაღის საწყობში გაამწესეს. ფეხბურთზე შეყვარებულს მხოლოდ კვირა დღეს უშვებდნენ საბურთაოდ. სამ თვეში თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანეს და გაცილებით მეტი თავისუფალი დრო გამოუჩნდა. საბოლოოდ, სამსახურისგან... არგენტინის ნაკრებში გამოძახებამ იხსნა. ნაკრებში მაშინდელი მთავარმეგოლის, პონტონის შემცვლელად ათამაშეს.



ამასობაში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატიც მოახლოვდა და ალფრედომ გაიბრწყინა. მერე „რივერ პლეიტი" ევროპაში გაემგზავრა. იქ ფეხბურთელები რომის პაპმა მიიღო. დი სტეფანო დიდი სიამოვნებით იხსენებს იმ დროს, როცა პაპმა მას თამაში შეუქო.

არგენტინაში დაბრუნებულმა შეიტყო, რომ ხელფასი მოუმატეს. მიუხედავად ამისა, მონაწილეობა მიიღო გაფიცვაში, რომელიც ქვედალიგელებმა მოაწყვეს. ისინი გაზურებული ჩემპიონატის დროს დაგვიანებული ჯამაგირების გაცემას მოითხოვდნენ. დი სტეფანომ თავის მეგობრებთან ერთად რამდენიმე საქველმოქმედო მატჩიც კი გამართა სხვათა დასახმარებლად. ბოლოს ფეხბურთის ფედერაციამაც შეიბერტყა ყური და მდგომარეობა გამოსწორდა, თუმცა თვითონ ალფრედოს კუთვნილი ანაზღაურების მხოლოდ ნახევარი უბოძეს. მან კოლუმბიისკენ გასწია.

თითქოს ჩასაფრებულიაო, ბოგოტისკენ გეზაღებულ თვითმფრინავს ჰაერში ისევ პრობლემები შეექმნა. ისედაც დაშინებული დი სტეფანო უფრო შეშინდა, მაგრამ ბოგოტაში მაინც მშვიდობით ჩააღწია. მას „რივერ პლეიტის" რამდენიმე მოთამაშეც ახლდა. ისინი ერთად მიიღეს იქაურ „მილიონარისში".

1949 წელს გუნდი ჩემპიონი გახდა. კოლუმბიურმა გაზეთებმა არგენტინელი ვარსკვლავისთვის ეპითეტები არ დაიშურეს: „დი სტეფანო — ყველაზე მარდი და მრისხანე ფორვარდი კონტინენტზე", „თეთრი ისარი საქმეშია!" „მილიონარისში" ალფრედო აღიარეს.

ოჰ, ეს თვითმფრინავი! დი სტეფანოს სახელი და დიდება არ აკლდა. მხოლოდ გაუთავებელი გადაფრენების გამო წუხდებოდა. ფრენისას ილუმინატორში გახედვას ერიდებოდა.

ბუენოს აირესში მას მტრები გაუჩნდნენ, სასამართლოთი ემუქრებოდნენ და დი სტეფანომ, თანაგუნდელ როსისთან ერთად, საპროტესტო წერილი გამოაცხო, რომელიც ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა. „თუ ჩვენ — წერდნენ ფეხბურთელები — „რივერ პლეიტის" დირექტორისთვის ადამიანები კი არა, მხოლოდ შემოსავლის წყარო ვართ, მაშ, ლოგიკურია, რომ ღმერთისგან ნაბოძები საკუთარი თავის საფასური თავადვე განვსაზღვროთ!"

„მილიონარისის" შემადგენლობაში გაჩემპიონებულმა არგენტინელმა 1949 წლის იანვარში ქორწილი გადაიხადა. მისი რჩეული ესპანელი სარა გახდა. სარა „ბოკა ხუნიორსის" ქომაგი იყო. მათ ერთურთი უბრალოდ, ქუჩაში გაიცნეს და ურთიერთობა ორ წელიწადს გაგრძელდა. აქვე ვთქვათ, რომ სიამტკბილობაში გატარებული ცხოვრება სამი წლის წინ ალფრედო დი სტეფანომ და მისმა მეუღლემ ოქროს ქორწილით აღნიშნეს.

უღელშებმული ფეხბურთელი იმ დროს ბრწყინვალე ფორმაში გახლდათ. „მილიონარისი" ტოტალურ ფეხბურთს ქადაგებდა, თვითონ ფეხბურთელი კი ასე ფიქრობდა: „მოედანზე აქტიურობა და აგრესიულობაა საჭირო. ყველაფერი უნდა შეგეძლოს. თუ დაცვას უჭირს, დაეხმარე. მაგრამ დაცვისას მეგოლეს თავში შეტევაც უნდა უტრიალებდეს. ჩემი სამიზნე მეტოქის კარია."

შემდეგ მოხდა ის, რაც თავშივე აღვნიშნეთ. „მილიონარისმა" „რეალი" გაბღლუნა და ფეხბურთელზე ნადირობა დაიწყო.

ჭორებმა, „რეალში" მისი გადასვლის თაობაზე, თვითონ დი სტეფანო ისე შეაწუხა, რომ გუნდს ჩილეში ტურნეში არ გაჰყვა და კლუბის პატრონს დასვენება სთხოვა, მშობლებთან გამიშვითო. შინაურებს დანატრებულმა ალფრედომ კოლუმბიაში დაბრუნება აღარ ისურვა. „მილიონარისის" ბოსები აფორიაქდნენ, ბოგოტაში ხმები დაირხა, რომელიღაც ესპანურმა კლუბმა დი სტეფანო გაიტაცაო.

კოლუმბიიდან სასწრაფოდ აბარგებული „მილიონარისის" პრეზიდენტი ბუენოს აირესში დაერჭო. ფეხბურთელს შინ მიაკითხა და როცა ის სალსალამათი ნახა, კოლუმბიაში დაბრუნება მოსთხოვა. მან იუარა, ნახევარი წლით დასვენების უფლება მომეცითო. პრეზიდენტი ალფონსო სენიორი შინ ხელცარიელი დაბრუნდა.

როგორც კი ესპანური კლუბების მზვერავებმა ობიექტი შინ დაიგულეს, მელიებივით მიუცუცქდნენ. მათ შორის „ბარსელონას", „ატლეტიკოს" და, რაღა თქმა უნდა, „რეალის" აგენტებიც იყვნენ. შეწუხებულ შვილს მამამ ესპანეთში თავისი ფეხით წასვლა ურჩია. ალფრედოც გაემგზავრა. „ბარსელონას" წარმომადგენელი კალამ-ფურცლებით დატრიალდა, მაგრამ ფეხბურთელს ბარსელონაში „რეალის" პრეზიდენტის თანაშემწემ რაიმუნდო საპორტამ ჩააკითხა. მან აუხსნა, რომ „მილიონარისსგან" „რეალმა" იგი უკვე გამოისყიდა, არადა, მანამდე „ბარსელონასგან" კოლუმბიელებს 200 ათასი დოლარი უკვე აღებული ჰქონდათ. აღმოჩნდა, რომ კოლუმბიელებმა იმამაძალლეს და ფეხბურთელი ორჯერ გაყიდეს.

საბოლოოდ დი სტეფანომ თავი მაინც მადრიდში ამოყო, მალე კი პირველ მატჩშიც ითამაშა სანტანდერის „რასინგის" წინააღმდეგ.

ალფრედო დი სტეფანო ბედისწერას შეურიგდა. „რეალი" ორი ათეული წლის განმავლობაში ჩემპიონი ვერ გამხდარიყო და სწორედ დი სტეფანოს ფეხით ეწერა აყვავება. რვაჯერ მოიგო პრიმერადივიზიონი, ხუთჯერ ზედიზედ კი ჩემპიონთა თასი, ამასთან 60 მატჩში 49 გოლი მიითვალა, რითაც ჯერაც დაუმხობელი რეკორდი დაამყარა.

ძნელია, იმკითხაო, სხვა გუნდში რომ გადასულიყო, მისი კარიერა როგორ აეწყობოდა. ფაქტია, რომ „რეალში" მან პიკს უწია. ორჯერ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მოგვიანებით დი სტეფანო ბარსელონის „ესპანიოლში" გადავიდა, თავისი ბურთაობა კი მოკრძალებულ ესპანურ კლუბ „ელჩეში" დაასრულა.

კარიერის დასრულების შემდეგ მან მწვრთნელობას მიჰყო ხელი. რაოდენ კარგად გამოუვიდა ეს საქმე, შედეგებიდან ჩანს: 1970-ში „ბოკა ხუნიორსი", ხოლო 1971-ში ესპანური „ვალენსია" გააჩემპიონა.

„ფული — თქვა ერთხელ დი სტეფანომ — ყოველთვის მეორეხარისხოვანი იყო ჩემთვის. ხანდახან მგონია, რომ ფეხბურთისთვის მე გაცილებით მეტი გავიღე, ვიდრე სანაცვლოდ მივიღე. შეიძლება, ქომაგებს გუნდის ლიდერად მივაჩნდი, მაგრამ ყოყლოჩინობა არასოდეს მომსვლია აზრად. არც საკუთარი მდგომარეობით მისარგებლია. კონტრაქტებზე ხელის მოწერისას პრეტენზიებიც კი არ გამომითქვამს. ფეხბურთი გუნდური თამაშია და საკუთარი ამბიციები საერთო საქმეს უნდა დაუქვემდებარო. შენს გარჯას სხვები შეაფასებენ, ყველაზე დიდი ჯილდო კი, ალბათ, გულშემატკივრების აღიარებაა."

და ერთიც, ორი წლის წინ, სექტემბერში, „რეალი" „ლევერკუზენთან" სათამაშოდ გერმანიაში მიფრინავდა. თვითმფრინავი საჰაერო ორმოში ჩავარდა და კიდევ კარგი, პილოტებმა იყოჩაღეს. ბორტზე დი სტეფანო რომ არ ყოფილიყო, ეგებ ორმო არც შეხვედროდათ...

**გაგა ხუციშვილი**



# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

### იტალია. სერია "A". გადადებული მატჩი

**6 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 166 | ტორინო-ატალანტა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |

### იტალია. სერია "B". II ტური

**6 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 167 | ასკოლი-ვიჩენცა | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 18.00 | 168 | ჯენოა-ტერნანა | 2,5 | 2,6 | 3,0 | 1,27 | 1,36 | 1,39 |
| 18.00 | 169 | ლეჩე-კატანია | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 18.00 | 170 | ლივორნო-კალიარი | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 18.00 | 171 | მესინა-სალერნიტანა | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 18.00 | 172 | ნაპოლი-ანკონა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 18.00 | 173 | ტრიესტინა-სიენა | 2,4 | 2,6 | 3,2 | 1,24 | 1,37 | 1,43 |
| 18.00 | 174 | ვენეცია-ბარი | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |
| 18.00 | 175 | ვერონა-კოზენცა | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |
| 23.30 | 176 | პალერმო-სამპდორია | 2,5 | 2,6 | 3,0 | 1,27 | 1,36 | 1,39 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი.

**2 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 199 | რეალი-სევილია | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 200 | რეალი-სევილია 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XVI ტური

**4 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 201 | რასინგი-ბილბაო | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 00.30 | 202 | დეპორტივო-სელტა | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |

**5 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 203 | ბარსელონა-უელვა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 204 | ბარსელონა-უელვა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 20.00 | 205 | ოსასუნა-რაიო | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 20.00 | 206 | სოსიედადი-მალაგა | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 20.00 | 207 | სევილია-მალიორკა | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 20.00 | 208 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 20.00 | 209 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.00 | 210 | ალავესი-ესპანიოლი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 23.30 | 211 | რეალი-ვალენსია | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XVII ტური

**4 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 212 | სერესი-ალმერია | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 21.30 | 213 | ელჩე-ეიბარი | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 23.30 | 214 | სპორტინგი-სარაგოსა | 2,45 | 2,7 | 3,0 | 1,28 | 1,34 | 1,42 |

**5 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 215 | ლეგანესი-ხეტაფე | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 20.00 | 216 | ალბასეტე-ოვიედო | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 20.00 | 217 | სალამანკა-ფეროლი | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 20.00 | 218 | ლევანტე-მურსია | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |
| 20.00 | 219 | ლას პალმასი-ბადახოსი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 20.00 | 220 | ეხიდო-კომპოსტელა | 1,85 | 2,8 | 4,7 | 1,11 | 1,32 | 1,75 |
| 20.00 | 221 | კორდობა-ტენერიფე | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,4 |
| 20.00 | 222 | ნუმანსია-ტერასა | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი

**4 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 223 | მონპელიე-ოსერი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |

### პორტუგალია. I ლიგა. XVI ტური

**4 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 224 | ბეირა მარი-გიმარაეში | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 00.10 | 225 | სეტუბალი-სპორტინგი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |

**5 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 226 | ლეირია-ბოავიშტა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.00 | 227 | აკადემიკა-ვარზიმი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 20.00 | 228 | სანტა კლარა-ფერეირა | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 20.00 | 229 | მორეირენსე-მარიტიმუ | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 23.00 | 230 | პორტუ-ბრაგა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 231 | პორტუ-ბრაგა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |

**6 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 232 | ნასიონალი-ბელენენსეში | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |

### პორტუგალია. II ლიგა. XVI ტური

**29 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 233 | მადეირა-ავეში | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 20.00 | 234 | ოვარენსე-ნავალი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 20.00 | 235 | რიუ ავე-შავეში | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 20.00 | 236 | მარკუ-ფარენსე | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 20.00 | 237 | ლეცა-სალგეირუში | 2,8 | 2,9 | 2,45 | 1,42 | 1,3 | 1,32 |
| 20.00 | 238 | პენაფიელი-ამადორა | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,44 | 1,29 | 1,33 |
| 20.00 | 239 | ფელგეირაში-მაია | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,4 |

### ბელგია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

**29 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 250 | დენდერლეუ-ვიზეტი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |

### საბერძნეთი. XIII ტური

**4 თანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 251 | პანიონიოსი-პაოკ | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 21.00 | 252 | აკრატიტოსი-ეგალეო | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  |  | **5 იანვარი** |  |  |  |  |  |  |
| 17.00 | 253 | კალითეა-ქსანთი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 17.00 | 254 | პანაპაიკი-პროდეფტიკი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 255 | ირაკლისი-იონიკოსი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 256 | ოლიმპიაკოსი-იანინა | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
|  | 257 | ოლიმპიაკოსი-იანინა 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 |  |  |  |
| 21.00 | 258 | არისი-აეკ | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 21.00 | 259 | ოფი-პანათინაიკოსი | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
|  |  | **ჰოკეი. ჩეხეთი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **27 დეკემბერი** |  |  |  |  |  |  |
| 20.00 | 609 | ტრჟინეცი-ვსეტინი | 1,4 | 4,4 | 4,4 | 1,06 | 1,06 | 2,2 |
| 20.00 | 610 | ზლინი-ბუდეიოვიცე | 1,8 | 4,0 | 2,8 | 1,24 | 1,09 | 1,64 |
| 20.00 | 611 | პაჰირჟოვი-სლავია | 6,5 | 6,0 | 1,2 | 3,12 | 1,01 | 1 |
| 20.30 | 612 | პარდუბიცე-ლიბერეცი | 1,35 | 4,7 | 4,7 | 1,04 | 1,04 | 2,34 |
| 20.30 | 613 | ზნოიმო-ლიტვინოვი | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |
| 20.30 | 614 | პლზენი-კარლოვი ვარი | 1,65 | 4,0 | 3,2 | 1,16 | 1,08 | 1,77 |
|  |  | **ჰოკეი. ფინეთი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **27 დეკემბერი** |  |  |  |  |  |  |
| 20.30 | 685 | ესპოო-იუვესკიულე | 1,9 | 4,0 | 2,6 | 1,28 | 1,09 | 1,57 |
| 20.30 | 686 | იოკერიტი-ლუკო | 1,35 | 4,7 | 4,7 | 1,04 | 1,04 | 2,34 |
| 20.30 | 687 | პელიკანსი-პელსინკი | 2,6 | 4,0 | 1,9 | 1,57 | 1,09 | 1,28 |
|  |  | **28 დეკემბერი** |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 688 | ჰამენლინა-პელიკანსი | 1,3 | 5,0 | 5,3 | 1,03 | 1,04 | 2,57 |
| 19.00 | 689 | ილვესი-ტაპარა | 3,6 | 4,4 | 1,5 | 1,98 | 1,05 | 1,11 |
| 19.00 | 690 | იუვესკიულე-ხეიპა | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 691 | კერპეტი-ესპოო | 1,9 | 4,0 | 2,6 | 1,28 | 1,09 | 1,57 |
| 19.00 | 692 | ლუკო-ესეტი | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |
|  |  | **29 დეკემბერი** |  |  |  |  |  |  |
| 17.00 | 693 | პელსინკი-იოკერიტი | 2,25 | 4,0 | 2,2 | 1,44 | 1,11 | 1,41 |
|  |  | **ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **27 დეკემბერი** |  |  |  |  |  |  |
| 24.00 | 710 | ჩეხეთი-გერმანია | 1,15 | 7,0 | 7,0 | 1 | 1 | 3,5 |
| 24.00 | 711 | სლოვაკეთი-ბელარუსი | 1,15 | 7,0 | 7,0 | 1 | 1 | 3,5 |
|  |  | **I ტაიმის შედეგი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **2 იანვარი** |  |  |  |  |  |  |
| 24.00 | 2031 | რეალი-სევილია | 1,5 | 2,9 | 7,5 |  |  |  |
|  |  | **4 იანვარი** |  |  |  |  |  |  |
| 23.30 | 2032 | რასინგი-ბილბაო | 2,4 | 2,1 | 4,0 |  |  |  |
| 00.30 | 2033 | დეპორტივო-სელტა | 2,4 | 2,1 | 4,0 |  |  |  |
|  |  | **5 იანვარი** |  |  |  |  |  |  |
| 20.00 | 2034 | ბარსელონა-უელვა | 1,35 | 3,5 | 8,0 |  |  |  |
| 20.00 | 2035 | ოსასუნა-რაიო | 2,25 | 2,15 | 4,4 |  |  |  |
| 20.00 | 2036 | სოსიედადი-მალაგა | 1,95 | 2,15 | 6,5 |  |  |  |
| 20.00 | 2037 | სევილია-მალიორკა | 2,7 | 2,1 | 3,4 |  |  |  |
| 20.00 | 2038 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 2,9 | 2,1 | 3,2 |  |  |  |
| 20.00 | 2039 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 3,1 | 2,05 | 3,1 |  |  |  |
| 20.00 | 2040 | ალავესი-ესპანიოლი | 2,05 | 2,15 | 5,6 |  |  |  |
| 23.30 | 2041 | რეალი-ვალენსია | 2,2 | 2,1 | 5,0 |  |  |  |
|  |  | **6 იანვარი** |  |  |  |  |  |  |
| 23.30 | 2042 | ტორინო-ატალანტა | 2,45 | 2,05 | 4,0 |  |  |  |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო |  |  | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  |  | **2 იანვარი** |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 24.00 | 2031 | რეალი-სევილია | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
|  |  | **4 იანვარი** |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 23.30 | 2032 | რასინგი-ბილბაო | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 00.30 | 2033 | დეპორტივო-სელტა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
|  |  | **5 იანვარი** |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 20.00 | 2034 | ბარსელონა-უელვა | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 6,0 | 18,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 20.00 | 2035 | ოსასუნა-რაიო | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო |  |  | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
| 20.00 | 2036 | სოსიედადი-მალაგა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 20.00 | 2037 | სევილია-მალიორკა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 20.00 | 2038 | ვილიარეალი-ატლეტ- | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.00 | 2039 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 2040 | ალავესი-ესპანიოლი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.30 | 2041 | რეალი-ვალენსია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
|  |  | **6 იანვარი** |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 23.30 | 2042 | ტორინო-ატალანტა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

|  |  |  | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
|  |  | 2 იანვარი |  |  |  |
| 24.00 | 2031 | რეალი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
|  |  | 4 იანვარი |  |  |  |
| 23.30 | 2032 | რასინგი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2033 | დეპორტივო-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
|  |  | 5 იანვარი |  |  |  |
| 20.00 | 2034 | ბარსელონა-უელვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2035 | ოსასუნა-რაიო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2036 | სოსიედადი-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2037 | სევილია-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2038 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2039 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2040 | ალავესი-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2041 | რეალი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
|  |  | 6 იანვარი |  |  |  |
| 23.30 | 2042 | ტორინო-ატალანტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

|  |  |  | კი | არა |
|---|---|---|---|---|
|  |  | 2 იანვარი |  |  |
| 24.00 | 2031 | რეალი-სევილია | 1,8 | 1,8 |
|  |  | 4 იანვარი |  |  |
| 23.30 | 2032 | რასინგი-ბილბაო | 1,7 | 1,9 |
| 00.30 | 2033 | დეპორტივო-სელტა | 1,7 | 1,9 |
|  |  | 5 იანვარი |  |  |
| 20.00 | 2034 | ბარსელონა-უელვა | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 2035 | ოსასუნა-რაიო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2036 | სოსიედადი-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2037 | სევილია-მალიორკა | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2038 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2039 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2040 | ალავესი-ესპანიოლი | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2041 | რეალი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
|  |  | 6 იანვარი |  |  |
| 23.30 | 2042 | ტორინო-ატალანტა | 1,75 | 1,85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

|  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|
|  |  | 2 იანვარი |  |  |
| 24.00 | 2031 | რეალი-სევილია | 2,0 | 1,6 |
|  |  | 4 იანვარი |  |  |
| 23.30 | 2032 | რასინგი-ბილბაო | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 2033 | დეპორტივო-სელტა | 1,9 | 1,7 |
|  |  | 5 იანვარი |  |  |
| 20.00 | 2034 | ბარსელონა-უელვა | 2,1 | 1,55 |
| 20.00 | 2035 | ოსასუნა-რაიო | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2036 | სოსიედადი-მალაგა | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2037 | სევილია-მალიორკა | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2038 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2039 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2040 | ალავესი-ესპანიოლი | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2041 | რეალი-ვალენსია | 1,9 | 1,7 |
|  |  | 6 იანვარი |  |  |
| 23.30 | 2042 | ტორინო-ატალანტა | 1,85 | 1,75 |


სამ თბილისურ ბიუროში
კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1 კორპუსი
კრობომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა
შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

28.12 19.00 2602 ინგლისი პლ. (XXI ტური) ........ 25 ან ნაკლები – 1,9; 27 ან მეტი – 1,9
01.01 18.00 2603 ინგლისი პლ. (XXII ტური) ........ 25 ან ნაკლები – 1,9; 27 ან მეტი – 1,9
04.01 23.30 2604 ესპანეთი Iდ. (XVI ტური) ........ 25 ან ნაკლები – 1,9; 27 ან მეტი – 1,9

## 30 დეკემბრიდან „კროკოში" საშობაო-საახალწლო შესვენებაა, მუშაობა 8 იანვარს განახლდება

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

**2 იანვარი**

24.00 2031 რეალი-სევილია ---- 1,15 ---- 4,4

**4 იანვარი**

23.30 2032 რასინგი-ბილბაო ---- 1,7 ---- 2,2
00.30 2033 დეპორტივო-სელტა ---- 1,7 ---- 2,2

**5 იანვარი**

20.00 2034 ბარსელონა-უელვა ---- 1,15 ---- 4,4
20.00 2035 ოსასუნა-რაიო ---- 1,65 ---- 2,3
20.00 2036 სოსიედადი-მალაგა ---- 1,5 ---- 2,6
20.00 2037 სევილია-მალიორკა ---- 1,8 ---- 2,0
20.00 2038 ვილიარეალი-ატლეტიკო ---- 1,85 ---- 1,95
20.00 2039 ვალიადოლიდი-ბეტისი ---- 1,9 ---- 1,9
20.00 2040 ალავესი-ესპანიოლი ---- 1,55 ---- 2,5
23.30 2041 რეალი-ვალენსია ---- 1,55 ---- 2,5

**6 იანვარი**

23.30 2042 ტორინო-ატალანტა ---- 1,7 ---- 2,2

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სარბიელი

## სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I° კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქ №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მედეა მხეიძეს არასოდეს უთამაშია. დაშლის პირას მყოფი საბჭოთა კავშირიდან საბერძნეთს მიაშურა და უკვე მეთორმეტე წელია, ევროპულ კალათბურთშია. მას იქ ეგებ იმაზე უკეთაც იცნობენ, ვიდრე საქართველოში, რადგან კარიერის ყველაზე აქტიური წლები ამ 196-სანტიმეტრიანმა ქალბატონმა ევროპულ კლუბებს შეალია და მისი მიღწევებიც ბებერ კონტინენტს უკავშირდება. მედეა მხეიძე საბერძნეთის სამგზის ჩემპიონია, ერთხელაც თურქეთში მოუგია ოქრო. უთამაშია რონკეტის თასის ფინალი, რაც ვაჟთა კალათბურთის ენაზე ევროლიგას ნიშნავს. ბოლო ტიტული ხუთიოდ წლის წინ მოიგო, ახლა კი მის ცხოვრებაში ის ბუნებრივი პროცესი დგას, როცა სპორტსმენი აქტიური სპორტიდან წასვლაზე ფიქრობს. მისი ბოლო კლუბიც არ იყო ევროპის გრანდთაგანი, თანაც ბოლო სეზონი ავადმყოფობის გამო ფაქტობრივად გაუცდა...

# მედეა-მითი

## ყველაზე წარმატებული ქართველი კალათბურთელი ქალი საქართველოსთვის მითად დარჩა

— წინა სეზონში გუნდი გამოვიცვალე. თებერვალში ისრაელიდან რუსეთში, ნოვოსიბირსკში აღმოვჩნდი და კლიმატის მკვეთრი ცვლილების გამო ფილტვების ანთება დამემართა. ამიტომაც იქაურ „დინამოში" მხოლოდ ორიოდ თვე ვითამაშე. საბოლოოდ მეოთხე ადგილზე დავასრულეთ რუსეთის ჩემპიონატი.

**— ეგ სეზონი ალბათ ყველაზე უიღბლო იყო თქვენს კარიერაში. წარმატებულებიდან რომელს გამოარჩევთ?**

— ევროპაში პირველივე სეზონში მივაღწიე წარმატებას, „აპოლონ კალამარიას" შემადგენლობაში საბერძნეთის ჩემპიონი გავხდი. ამ გუნდთან ერთად კიდევ ორჯერ მოვიგე ბერძნული ოქრო, თუმცა ყველაზე ძვირად თურქეთის ჩემპიონობა მიღირს. ჯერ ერთი, თურქეთს საბერძნეთზე მაღალი დონის პირველობა აქვს, თანაც „ბოთაშსფორში" ჩემს მხარდამხარ თამაშობდა ჩემი აზრით მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელი, ამერიკელი ბრენდი რიდი. იგი ჩემი საუკეთესო მეგობარია.

**— ეს ხუთი წლის წინ იყო, ახლა ვის მიიჩნევთ მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელ ქალად?**

— ამჟამადაც რიდს მივიჩნევ, იმის მიუხედავად, რომ ბოლო სეზონი არ უთამაშია. ქალთა ნბა მეტად ხანმოკლე ტურნირია, რომელიც კაცთა ჩემპიონატებს შორის ეწყობა. ბრენდი „ფინიქს მერკურის" ფორვარდია, სეზონის დასაწყისში იჩხუბა და თამაში აუკრძალეს. ჩემი აზრით, ის ქალთა მაიკლ ჯორდანია. ასევე მომწონს იოლანდა გრიფიტი, რომელიც „საკრამენტო მონარქზში" თამაშობს, შარშან კი ნბა-ს ერთ-ერთი უძვირფასესი კალათბურთელი იყო „პარმას" შემადგენლობაში.

**— სახელგანთქმულ ამერიკელ ლაიზა ლესლიზე რას იტყვით? მან ამას წინათ ქალთა კალათბურთის ისტორიაში პირველად ჩატენა ბურთი...**

— ლაიზა ლესლი, რა თქმა უნდა, უმაღლესი დონის მოთამაშეა, მაგრამ, როგორც გითხარით, მე რიდს ვამჯობინებ. ჩატენვისა კი რა გითხრათ, მეც კი ვტენი, ოღონდ შედარებით პატარა ზომის ბურთს.

**— რადგან საუკეთესოებზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ვაჟთა კალათბურთის თქვენი ფავორიტებიც დაგვისახელეთ...**

— ჩემი კერპი ლარი ბერდია. მოქმედი კალათბურთელებიდან კი, იქნებ გაგიკვირდეთ და, ხორვატი ტონი კუკოჩის თამაში მომწონს. შესაძლოა, მაღალი შედეგიანობით ვერ გამოირჩევა, მაგრამ კუკოჩის მოძრაობები სხვებისაზე ელეგანტურია, ლარი ბერდიც ამიტომ მომწონდა. ასევე მომწონს სერბი დრაგან ტარლაჩის თამაში, თუმც ბოლოს ცოტა მოისუსტებს.

**— ყველა, ვინ ახსენეთ, წინაზაზელია. ალბათ თქვენი ამპლუის კალათბურთელთა თამაში უფრო გიზიდავთ და საგანგებოდ აკვირდებით მათ...**

— შესაძლებელია. მე ხომ თავდამსხმელად, უფრო კი ცენტრად ვთამაშობ ხოლმე და ალბათ ამიტომაც ჩემი სიმპათიები ამ ამპლუის მოთამაშეებისკენ უფრო იხრება. ისე კი, ჯორდანმა რა დააშავა, მაგრამ მე შედეგიანობაზე მეტად, როგორც გითხარით, თამაშის განსაკუთრებულ მანერას ვაქცევ ყურადღებას.

**— პირადად თუ იცნობთ რომელიმე მათგანს?**

— ამათგან არც ერთს, მაგრამ ვიცნობ არანაკლებ ლამაზად მოთამაშესა და ევროპაში აღიარებულ დეიან ბოდიროგას. მას პირველად ათენში შევხვდი, როცა „პანათინაიკოსში" თამაშობდა. ჩვენმა საერთო მეგობარმა, ბერძენმა მწვრთნელმა გაგვაცნო ერთმანეთი. საკმაოდ ხალისიანი და კარგი საურთიერთო ადამიანია. და თუ გაინტერესებთ ის, რაც მთელ ევროპას უკვირს — რატომ არ მიდის ბოდიროგა ნბაში? — გეტყვით: ის ევროპაში საუკეთესოა და ამას ზედმეტი დატვირთვის გარეშე აღწევს. ბოდიროგას აქვს ყველაზე მაღალი ხელფასი და ამდენივე რომ ნბა-ში მისცენ, მისგან მაქსიმუმი, შესაძლოა, შეუძლებელიც მოითხოვონ.

**— კალათბურთში, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ბევრს მიაღწიეთ. როგორ ფიქრობთ, კალათბურთელი რომ არ ყოფილიყავით, გექნებოდათ ასეთივე წარმატებები სპორტის ანაც ცხოვრების სხვა სფეროებში?**

— ჯერ გეტყვით, რომ კალათბურთელობა არ იყო არც ჩემი და არც ჩემი მშობლების არჩევანი. დედაჩემი მძლეოსანი იყო და ყველა მის კვალზე დადგომას მიკიჟინებდა. თუმც დედამ ჩოგბურთზე მიმიყვანა, მაგრამ 6 წლის ვიყავი და არ მიმიღეს. შემდეგ, სიმაღლეში რომ საგრძნობლად მოვიმატე, კალათბურთზე შემიყვანეს. არ ვიცი, ჩოგბურთში რომ დავრჩენილიყავი, ამხელა სიმაღლით წარმატებებს თუ მივაღწევდი, მაგრამ ახლა, როგორც ვუყურებ, ეს მომენტი შესაძლოა ერთგვარი კოზირიც კი ყოფილიყო.

**— ხომ არ ნანობთ, ჩოგბურთელი რომ ვერ გახდით?**

— არა, მაგრამ ვაღიარებ, რომ ჩოგბურთი კალათბურთზე არანაკლებ მიყვარს. ისე კი, სპორტსმენი რომ არ ვყოფილიყავი, დიზაინერი ვიქნებოდი. მიზიდავს არა მარტო მოდელირება, არამედ საერთოდ დიზაინი, ოთახის, ბაღისა თუ სხვა სივრცის გემოვნებით მოწყობა. თუმც ვფიქრობ, რომ კალათბურთში ალბათ ჩემი მაქსიმუმი გამოვავლინე.

**— მოედანზე რა იყო თქვენი მაქსიმუმი, ყველაზე შედეგიან მატჩს თუ გაიხსენებთ?**

— ზუსტად აღარ მახსოვს, ამიტომ ორს გავიხსენებ. მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში თამაშისას იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. სიმფეროპოლის გუნდს 40-ზე მეტი ქულა ჩავუგდე. ერთხელაც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში, ბულგარელებთან მატჩში, 44 ქულა დამიგროვდა.

**— ევროპული კარიერიდან რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ?**

— „აპოლონ კალამარიაში" თამაშისას რონკეტის თასზე უნგრულ კლუბს ვხვდებოდით. ძალიან დაძაბული და დრამატული მატჩი გამოდგა, მე საუკეთესოდ დამასახელეს. სამწუხაროდ, ის შეხვედრა ფრედ დასრულდა და ორი მატჩის ჯამში მეოთხედფინალში ველარ გავაღწიეთ.

**— თქვენს ყველაზე დიდ იმედგაცრუებაზეც გვითხარით...**

— იმედგაცრუებას არა, მაგრამ ერთ ტრაგიკულ ამბავს გავიხსენებ. იმავ „აპოლონ კალამარიაში" თამაშისას საბერძნეთის ჩემპიონატში ჩვენი მეტოქეების — „სპორტინგისა" და „აგია პარასკევის" მატჩს ვესწრებოდი. თანაბარი თამაში იყო და ბოლო წუთზე „სპორტინგი" დაწინაურდა. ჩემს შორიახლოს მჯდომ „აგია პარასკევის" ერთ-ერთი მოთამაშის დედას ნამეტანი ნერვიულობისგან ინფარქტი დაემართა და ექიმების მოსვლამდე გარდაიცვალა.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— ჩემს ცხოვრებაში იშვიათადაა ისეთი მომენტები, როცა კალათბურთთან არაფერი მაკავშირებს. ასეთ დროს მუსიკას ვუსმენ, სამზარეულოში ვტრიალებ, ანაც სახლის ინტერიერის გალამაზებაზე ვფიქრობ.

**— რომელი კერძი მოგწონთ და ყველაზე გემრიელს რას ამზადებთ?**

— ქართული კერძებიდან მიჭირს რომელიმეს გამორჩევა, უამრავი გემრიელი კერძი გვაქვს. ისე კი, იტალიურ სამზარეულოს გამოვარჩევ, სპაგეტი და პასტა ძალიან გემრიელი გამომდის, თითქმის სულ ამ კერძებს ვამზადებ. ჩემი მეუღლე ხშირად მეუბნება, ერთი ქართული საჭმელიც გააკეთეო.

**— მეუღლეც კალათბურთელია?**

— დიახ, მალხაზ კოხრეიძე. საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში უთამაშია, „დინამოს" დუბლებშიც იყო. ამჟამად ქუთაისის ახალგაზრდულ გუნდს წვრთნის.

**— ახლა, როგორც ვიცი, უგუნდოდ ბრძანდებით, სადმე თუ აპირებთ თამაშს, ანაც კარიერის დასრულება ხომ არ გადაგიწყვეტიათ?**

— საქართველოს ქალთა ნაკრებს გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე უწევს თამაში. კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს ვთხოვე, იქნებ როგორმე მივიღოთ-მეთქი ამ ტურნირში მონაწილეობა, რაც კალათბურთთან ჩემი ერთგვარი გამოსათხოვარი მატჩები იქნებოდა. სამწუხაროდ, არაფერი გამოვიდა, ფედერაციას ქალებისთვის არ აღმოაჩნდა ფული.

გაზაფხულზე ევროპულ კემპებზე წავალ და რამე გუნდს გამოვნახავ, მერე კი, მალე ალბათ კარიერასაც დავასრულებ.

**ირაკლი ბერტაია**



# ბოდიროგა პირველი კაცია

**იუგოსლაველთა** გმირთაგმირი დეიან ბოდიროგაა, გმირები — საკალათბურთო ნაკრების დანარჩენი წევრები. ბოდიროგა თავისი ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა წლის საუკეთესო სპორტსმენ კაცად დაასახელა.

ბოდიროგას დაუფასდა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაბრწყინება. ინდიანაპოლისში იგი იუგოსლაველთა ნაკრებს კაპიტნობდა და გადამწყვეტ მატჩებში უმნიშვნელოვანესი ბურთები ჩააგდო. ბოდიროგამ ჯერ ნახევარფინალში დაამწუხრა ამერიკელები, მერე კი საჩემპიონო მატჩში ლამის მარტომ შემოატრიალა არგენტინელებთან თითქმის წაგებული თამაში და თავის ნაკრებს ისტორიული გამარჯვება მოუტანა.

განა ამის არდანახვა შეიძლებაო და, ბოდიროგასთვის საპატიო ჯილდო გაიღეს. იუგოსლავიის გმირთაგმირი თავისი ძმობილებითურთ ქვეყნის პრეზიდენტმა, ვოისლავ კოშტუნიცამ იწვია და საპატიო სიგელებითაც დააჯილდოვა.

# საქმის კაცი საქმეს მქმნს



**იუგოსლავიის** ნაკრების თავკაცმა სვეტისლავ პეშიჩმა ორი დღის წინ ბელგრადში ჟურნალისტები შეკრიბა და თავისი მთავარი მწვრთნელობიდან გადადგომა ამცნო.

პეშიჩს არავინ ერჩოდა, პირიქით, ბოლო ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების მოგებისთვის დიდად ემადლიერებოდნენ, მაგრამ სერბმა სპეციალისტმა, „ბარსელონასთვის" მიცემულ პირობას ვერ დავარღვევო, თქვა და ქუდი დაიხურა.

პეშიჩმა „ბარსელონა" ზაფხულში ჩაიბარა და კლუბის ხელმძღვანელობას დაჰპირდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ჩაამთავრების შემდეგ მთლიანად კატალონიურ კლუბზე გადაერთვებოდა. პეშიჩმა ესპანელებს დანაპირები შეუსრულა და მსოფლიოს ჩემპიონების მწვრთნელობაზე უარი განაცხადა.

თუმც პეშიჩს ნაკრები არ დაუტოვებია. იგი რჩება კონსულტანტთა ოთხკაციან ჯგუფში, რომელსაც მასზე არანაკლებ ცნობილი სპეციალისტები შეადგენენ: ჟელკო ობრადოვიჩი, დუშან ივკოვიჩი და დუშან ვუიშევიჩი.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# საკრამენტომ ჰკრა

## კობის და კომპანიას არც შემწვარი ინდაური ერგოთ და არც დედოფალი

25 დეკემბერი

**ლეიკერსი 99:105 საკრამენტო**

**ლეიკერსი:** ონილი (27 ქულა, 17 მოხსნა, 5 პასი), ბრაიანტი (25 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი)

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (26), ვებერი (25 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი)

**ნიუ ჯერსი 117:81 ბოსტონი**

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (22), მარისი (17), კიდი (16 ქულა, 11 მოხსნა), მარტინი (16 ქულა, 13 მოხსნა)

**ბოსტონი:** პირსი (27), უოლკერი (21)

**ორლანდო 104:99 დეტროიტი**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (46)

**დეტროიტი:** ჰამილტონი (22), უილიამსონი (17)

24 დეკემბერს ნბა ისვენებდა, 25 დეკემბერს, შობის დღესასწაულზე კი, როცა ქვეყანა ისვენებდა, ამერიკაში სანახაობის მწარმოებელმა კონცერნმა ნბა-მ რამდენიმე გუნდი მსხვერპლად გაიღო და შობაზე ათამაშა (რაც უნდა იყოს, ხალხს დღესასწაულზეც სურს კარგი კალათბურთის ყურება). ჩვეულებრივ შობის დღესასწაულზე ასოციაციის ნაცრისფერი გუნდები ისვენებენ ხოლმე და მაშინ, როდესაც ოკეანგალმა ყოველ ნორმალურ ოჯახში ოჯახის უფროსი მრგვლად შემწვარ ინდაურს ფერდში დანას უყრის, მოედნებზე ოფლს ღვრიან წინა სეზონის პლეი ოფის საუკეთესო გუნდები, მაგალითად, ისინი, რომლებიც კონფერენციების ფინალში შეასკდნენ ერთმანეთს. წლეულს შობას თამაში მოუწიათ დასავლეთის ფინალისტებს — „ლეიკერსსა" და „საკრამენტოს" და აღმოსავლეთის რჩეულებს — „ნიუ ჯერსისა" და „ბოსტონს". ნბა ამითაც არ დაკმაყოფილდა და კიდევ ორი გუნდი გაწირა სათამაშოდ.

„ლოს ანჯელეს ლეიკერსს" ყოველ შობაზე გამოწერილი აქვს თამაში, რაკი სულ ჩემპიონია. კობი ბრაიანტს ეს ყელში ამოუვიდა. არაერთხელ დაუჩივლია, ჭირსაც წაუღია ეს ნბა, შინ ჯდომა მომენატრაო, მაგრამ იძულებულია, 25 დეკემბერს, ვთქვათ, ჰიდაიეთ თურქოლლუს დაჯაბნაზე იფიქროს, რაკი ათეულობით მილიონს ამაში იხვეჭს და არა ინდაურის შემუსვრაში. რას იზამდა კობი, ჩვეულად ითამაშა, მაგრამ წააგო და კიდევ უფრო გაიფუჭა გუნება.

წინა სეზონის პლეი ოფებიდან მოყოლებული დღემდე, „საკრამენტოსა" და „ლეიკერსს" შორის მომხდარზე ნაწერით გვერდიც შეიძლება გაივსოს. „ლეიკერსმა" დასავლეთის ფინალში საწაულით მოუგო „კინგზს". ამის მერე იყო, რომ ლოსანჯელესელთა როყიო დევკაცმა შაკილ ონილმა ამ გუნდს „კინგზის" (მეფეები) ნაცვლად „ქვინზი" (დედოფლები) უწოდა. ამას მოჰყვა საგამოფენო თამაშში ლეიკერსელი რიკ ფოქსისა და საკრამენტოელი დუგ კრისტის ხელჩართული ჩხუბი. დაბოლოს, ლოსანჯელესელებმა ამ სეზონის პირველ შეხვედრაში „კინგზს" ბოლო მეოთხედში 27-ქულიანი უპირატესობა წაართვეს და ლამის ნბა-ს ყველა დროის რეკორდი დაამყარეს.

როგორც ხედავთ, ურთიერთბრძოლებში მეტწილად „საკრამენტო" იჩაგრებოდა და ახლაც რომ წაეგოთ, „მეფეები" ძალიან დამამცირებელ ყოფაში აღმოჩნდებოდნენ, ამიტომაც მათ ამ თამაშში ყველაფერი ჩადეს. პრედრაგ სტოიაკოვიჩი მთელი ეს სეზონი ტრავმისგან იტანჯებოდა, ახლა კი ტრავმის გამიზეზებას არ მოერიდა, ბოლომდე დაიხარჯა და თავის წილად 26 ქულას გამოვიდა. თითქმის ამდენი მოუგროვდა კრის ვებერსაც და ძირითადად მათი წყალობით „მეფეებმა" ბოლოს და ბოლოს აჯობეს ჩემპიონებს. „კარგად მახსოვს, ბავშვობაში ნბა-ში თამაშზე რომ ვოცნებობდი, ყველაზე მეტად შობა დღეს კალათბურთით ზეიმი მინდოდა. ეს დღე ჩემთვის ნამდვილი ზეიმია. მართალს გეტყვით, მე მომბეზრდა კიდეც კალათბურთი, ამ გამარჯვებამ კი ჩემი საქმის სიყვარული დამიბრუნა" — ბავშვივით ხარობდა კრის ვებერი.

ხარობდნენ სხვა მისიანებიც. ეგაა ცოტა ბობი ჯექსონი ვერ იყო ხასიათზე, რაკი იმ თამაშში ტრავმა მიიღო. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ის მორიგი ბურთის სასროლად რომ შეიმართა, მთაკაცმა შაკილ ონილმა ტორი სთხლიშა, ბურთი გააგდებინა და ლამის ხელის მაჯაც თან მიაყოლა. ჯექსონი მაინც ცდილობდა, ხალისი არ დაეკარგა, ამბობდა ტრავმაც ჩვენი საქმის განუყოფელი ნაწილიაო.

სხვათა შორის, იმ თამაშში ლეიკერსელებს არატრადიციული თეთრი მაისურები ეცვათ, პირველად 1967 წლის შემდეგ. 60-იანი წლებიდან „ლეიკერსი" შინაურ თამაშებზე ყვითელი მაისურით იმოსება (ნბა-ში მიღებულია, მასპინძლებს ღია ფერის ფორმა ეცვათ, სტუმრებს — მუქი), ახლა კი ჩემპიონთა ტანზე თეთრი გამოჩნდა. „ლეიკერსის" წარმომადგენელი ამბობს, რომ ისინი დღეიდან თეთრ მაისურებს ჩაიცმევენ მაშინ, როცა შინაური თამაშები კვირა დღეს დაემთხვევა.

დასავლურისგან განსხვავებით ნაკლებად საინტერესოდ ჩაიარა აღმოსავლური ფინალის საშობაო გამეორებამ. მაშინ გამარჯვებულმა „ნიუ ჯერსიმ" ახლაც იოლად სძლია „ბოსტონს", რომელიც დღესდღეობით საუკეთესო ფორმაში ვერ უნდა იყოს.

მეტი ინტერესი ახლდა მესამე თამაშს, სადაც „ორლანდო" „დეტროიტს" ხვდებოდა. წელკავის მიუხედავად, ორლანდოელმა ტრეისი მაკგრეიდიმ წელგამართულად ითამაშა და 46 ქულაც ჩაუგდო „დეტროიტს". მაკგრეიდის კარგა ხანია, წელი აწუხებს, უფრო ზუსტად, მას შემდეგ, რაც 15 დეკემბერს „ლეიკერსთან" შეხვედრაში კობი ბრაიანტმა ზურგში იდაყვი სთხლიშა. მაკგრეიდიმ რამდენიმე მატჩიც გამოტოვა და არც ახლა აპირებდა თამაშს, მაგრამ გადაიფიქრა. „ვერ ვიტან უმოქმედობას" — ამყი სახით უთქვამს გამარჯვების შემდეგ. „მაკი ძალიან მაგარი მოთამაშეა — თქვა მასზე თანაგუნდელმა გრანტ ჰილმა — განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საყოველთაო ყურადღების ცენტრშია, როცა მისი თამაში ეროვნული ტელევიზიით გადაიცემა. დღეს შობაა და ყველა გვიყურებდა, ტრეისი უკეთეს დროს ვერც შეარჩევდა თავის გასაგიჟებლად".

**ირაკლი ფირაშვილი**



ამაოდ დაშვრა შაკილ ონილი: გამარჯვება კრის ვებერს და მისიანებს დარჩათ

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 20 | 9 | 69,0 |
| ბოსტონი | 18 | 10 | 64,3 |
| ფილადელფია | 18 | 10 | 64,3 |
| ორლანდო | 16 | 14 | 53,3 |
| ვაშინგტონი | 12 | 15 | 44,4 |
| ნიუ იორკი | 8 | 16 | 33,3 |
| მაიამი | 9 | 19 | 32,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 20 | 8 | 71,4 |
| დეტროიტი | 18 | 9 | 66,7 |
| ნიუ ორლეანი | 18 | 11 | 62,1 |
| მილუოკი | 12 | 15 | 44,4 |
| ატლანტა | 11 | 16 | 40,7 |
| ჩიკაგო | 10 | 18 | 35,7 |
| ტორონტო | 8 | 19 | 29,6 |
| კლივლენდი | 6 | 24 | 20,0 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 23 | 4 | 85,2 |
| სან ანტონიო | 18 | 10 | 64,3 |
| ჰიუსტონი | 15 | 12 | 55,6 |
| იუტა | 15 | 12 | 55,6 |
| მინესოტა | 15 | 13 | 53,6 |
| მემფისი | 8 | 21 | 27,6 |
| დენვერი | 6 | 22 | 21,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 23 | 8 | 74,2 |
| ფინიქსი | 17 | 11 | 60,7 |
| პორტლენდი | 15 | 11 | 57,7 |
| სიეტლი | 14 | 15 | 48,3 |
| კლიპერსი | 12 | 16 | 42,9 |
| ლეიკერსი | 11 | 19 | 36,7 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 18 | 33,3 |

*ამ ზაფხულს, როდესაც „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ზედიზედ მესამედ გაჩემპიონდა, შაკილ ონილი ტრადიციულ ქადილს მოჰყვა, ამაზე არ გავჩერდებით, სამი ოქრო არ გვაკმაყოფილებს, ჩვენ ყოველ წელიწადს უნდა მოვიგოთ ტიტული. ლოსანჯელესელებმა ახლაც ამ მიზანმიმართულებით გამსჭვალულებმა დაიწყეს სეზონი, სხვა თუ არაფერი, მეოთხე ოქრო მწვრთნელ ფილ ჯექსონისთვის სჭირდებათ, რომელიც ჩეიმპიონის ცხრა ტიტულს ფლობს, იმდენივეს, რამდენსაც 80-იანი წლების ლეგენდარული ბოსტონელი მწვრთნელი, ამ მხრივ რეკორდსმენი რედ აუერბახი. ხომ უნდა გადაასწროს ჯექსონმა მას, რათა ჟურნალისტ-სპეციალისტებმა წარამარა გვერდში არ ამოუყენონ აუერბახს და ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად უპირობოდ აღიარონ?*

# ლეიკერსს გვამის ლაქები დაეტყო



ფილ ჯექსონი



კობი ბრაიანტი

„ლეიკერსს" არ განელებია „კუთვნილი" ოქროს დათრევის წყურვილი, მაგრამ შეძლებს კი მის ზედიზედ მეოთხედ მოპოვებას? „საკრამენტოსთან" საშობაო მარცხის შემდეგ „ლეიკერსს" მხოლოდ 11 გამარჯვების წილ 19 მარცხი უგროვდება, დასავლეთში მეთერთმეტეა და თუ ასე გააგრძელა, ჩემპიონობას ვინ ჩივის, საერთოდ ვერ მოხვდება პლეი ოფში. ტვინბასრი ჟურნალისტები მწარედ ქილიკობენ, „ლეიკერსი" პლეი ოფში ვერ მოხვდება და მონაწილეობას მიიღებს დრაფტ-ლატარიაში, სადაც ვინ იცის, ბედმა პირველი არჩევნის გაკეთების უფლება უბოძოს. მაშინ „ლეიკერსი" დრაფტში აიყვანს 17 წლის სკოლის მოსწავლე ვუნდერკინდს ლებრონ ჯეიმსს და ეს ლაწირაკი კობის, შაკისა და დიდი ფილს გუნდს ნანატრ ჩემპიონობას მოუტანსო. ჩემპიონებს ყოველდღე უხდებათ ასეთი და უფრო მწარე სარკაზმების მოსმენა.

თავიდან „ლეიკერსის" ცუდი თამაში ლიდერთა არყოფნას ბრალდებოდა: შაკილ ონილმა მაინც და მაინც ამერიკისთვის ტრაგიკული დღის, 11 სექტემბრის წლისთავზე ინება თითის ოპერაციის გაკეთება. არადა, ადრეც შეძლო. ასე გამოხატა შაკმა ბინ ლადენის ავი ხუშტურების მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობა, თუ ვინ იტყვის რა. ამ ტინგიცობიდან კი ის გამოვიდა, რომ მან სეზონის პირველი 12 თამაში გააცდინა, რომელთაგან „ლეიკერსმა" 9 წააგო. „ეს მხოლოდ ცუდი სიზმარია, აი, ნახავთ, გავიღვიძებთ და ნამდვილ ცხოვრებაში დავბრუნდებით" — ჩვეულად ბუზუნებდა შაკი. მან მოიშუშა ნაოპერაციევი, გამოვიდა მოედანზე, მაგრამ „ლეიკერსმა" მაინც ვერ გაიღვიძა, ისევ წარამარა აგებს და აგერ „ნიუ ჯერსისთან" 27 ქულით განადგურდა, სწორედ იმ „ნიუ ჯერსისთან", რომელსაც ამ ზაფხულს ფინალი 4:0 მოუგო.

„ლეიკერსის" პრობლემა მხოლოდ შაკილ ონილი არ უნდა იყოს. მას ვერც ტრავმამ დააკლო რამე და ვერც ნბა-ში შარშან დაშვებულმა ზონურმა პრესინგმა. ის მაინც აგდებს თავის წილ ქულებს და დღემდე გაიძახის, რომ შეუძლია უნიკალური რეკორდის, უილტ ჩემბერლენის მიერ ერთ თამაშში გაკეთებული 100 ქულის დამხობა. შაკილ ონილს დღემდე სჯერა, რომ ჩემბერლენის ტოლ-სწორია. ასეა, მას არასოდეს აკლდა ამბიცია.

უამბიციო არც მისი ჩანაგუნდელი კობი ბრაიანტია. კობი თითქოს შეეგუა შაკის ჩრდილში ყოფნას, მაგრამ ირკვევა, რომ ბოლომდე ვერა. ამ სეზონის დაწყებამდე მან დაიქადნა, სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გავხდებიო, სხვაგვარად იგი ვერ გაუთანაბრდებოდა მთა თანაგუნდელს. ამის მისაღწევად კობიმ თავი არ დაზოგა და სეზონის პირველ თამაშებში სულ 30-30 ქულა აგდო, მაგრამ ახლა მას იმასთან შეგუებაც მოუწევს, რომ ვერც უძვირფასესის წოდება შეხვდება, ყოველ შემთხვევაში, წლეულს მაინც, რაკი მისი კარგი თამაშის მიუხედავად, „ლეიკერსი" აგებს და აგებს.

თუკი პრობლემა არც შაკილ ონილშია, არც კობი ბრაიანტში და ფილ ჯექსონსაც ძველებურად უჭირს გონება, მაშ, რა ეტაკა „ლეიკერსს"? მცოდნე ხალხი ჩემპიონთა დაბეჩავების მიზეზს ჩემპიონთა მიერ კალათბურთისადმი სიყვარულსა და ინტერესის განელებაში ხედავენ. „ლეიკერსი" ცივი გულით გადის თამაშებზე, ნაკლებს შრომობს და ეს ლამის ყოველ მოძრაობაში იგრძნობა. ნბა მგლების სამყაროა, თუ იქ ვინმეს ტანზე წითელი ლაქები შენიშნეს, სულს ამოხდიან. „ლეიკერსს" კი სისხლის ლაქა არაერთგან ეტყობა.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ მინდა ზოოპარკში!

## ჯონა ლომუ ნაავადმყოფარ რაგბის ჯინს ძველი სასწაულები ენატრება

*დრო იყო, მისი წარმომადგენელი ღონით სავსე და ზორბა, 196-სანტიმეტრიანი და 125-კილოგრამიანი აწყვეტილი სხეული შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს. 1995 წლის მსფლიოს თასის ფინალის წინ სამხრეთ აფრიკის პარლამენტში იმაზეც კი იმსჯელეს, თუ როგორ დაეცვათ თვისტომი მორაგბეები ახალზელანდიელი დევკაცისგან. ჯონა ლომუ წლების მანძილზე მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე იყო, მაგრამ მერე თირკმელების ავადმყოფობამ კარგა ხანს ჩამოაშორა რაგბის. ლომუ განიკურნა და მოედანსაც დაუბრუნდა, თუმც ძველი ლომუს აჩრდილილა იყო*





ბუნებით მშვიდი გოლიათი ჯონა ლომუ მოედანზე სასტიკდება

მისი აღარ ეშინოდათ, ჯონა აღარ იყო ის, ვის გამოც რაგბი გარდაიქმნა. ლომუ ნელ-ნელა შეაჩვიეს სათადარიგოთა სკამს და მისი ვარსკვლავიც თანდათან ჩაქრა.

ყველაზე უიღბლო სეზონი რაგბის ჯინს წლეულს ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სამწლიანი პაუზის შემდეგ „ოლ ბლექსმა" სამხრეთნახევარსფეროს უმთავრესი ტურნირი, სამი ერი მოიგო. ახალმა ზელანდიამ ისე ჩაამთავრა ტურნირი, ოთხი მატჩიდან ჯონამ მხოლოდ ორში ითამაშა, ისიც შეცვლაზე. ორჯერ კი 22 კაცშიც ვერ მოხვდა. წლეულს „შავებმა" სულ 11 მატჩი ითამაშეს და აქედან ოთხში ლომუ სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მას საშუალო დონის მოიერიშე ქალებ რალფი ამჯობინეს. ყველაფერ ამას ჯონას კლუბის „ჰარიქანზის" (ქარიშხლები) ზე-12-ში ჩაფლავებაც დაერთო. **„როგორი იყო ეს წელი ჩემთვის? სრული სიგიჟე — ამბობს ლომუ — ეს ძალიან ჰგავდა ამერიკულ ატრაქციონს. ზევით-ქვევით, ზევით-ქვევით და ასე დაუსრულებლად. ალბათ, ეს ყველაფერი წლეულს უნდა მომხდარიყო. ცხოვრებამ გამოცდა მომიწყო. იმედია, გაისად ყველაფერი გაცილებით უკეთ იქნება. ყოველ შემთხვევაში, სამომავლოდ დიდი გეგმები მაქვს".**

27 წლის ჯონას 63 სანაკრებო კეპი და 37 ლელო დაუგროვდა. იგი მესამეა ახალი ზელანდიის ისტორიაში, ვინც ამდენი ლელოს გატანა შეძლო. ჯონას მისი ძმაკაცი კრისტიან ქალენი (46) და ლეგენდარული ჯეფ უილსონი (45) უსწრებენ. ამის მიუხედავად, ახალი ზელანდიის მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა ლომუ თავიდან არ შეიყვანა საევროტურნო 25 კაცში. მიტჩელი არც მალავდა, რომ ლომუს მზადყოფნა არ აკმაყოფილებდა, მაგრამ ჯონას დაჟინებული თხოვნის შემდეგ სამმატჩა ტურნეში მაინც წაიყვანა. არადა, ლომუს შეეძლო იმ მრავალთაგანი ყოფილიყო, მომქანცველი ზე-12-ისა და სამი ერის შემდეგ დასვენება რომ მოითხოვეს და ევროპაში ხეტიალს კუნთების შინ მოდუნება არჩიეს. **„რატომ უნდა ვმჯდარიყავი სახლში, როცა ვხედავდი, რომ გუნდისთვის მესამეხარისხოვანი ვხდებოდი. ძალა და მუხლი კიდევ მერჩის და უნდა დამემტკიცებინა, რომ კიდევ შემიძლია სარგებლის მოტანა." — ამბობს ლომუ.**

ბებერ კონტინენტზე „ოლ ბლექსმა" სამი ტესტი გამართა: წააგო ინგლისთან (28:31), ფრე საფრანგეთთან (20:20), მოუგო უელსს (47:17). ლომუმ სამივე მატჩი ითამაშა და ინგლისელებს ორი ლელოც გაუტანა. ჯონა იხსენებს: „ეს იყო **დაუვიწყარი რამ. მატჩამდე ინგლისის დედოფალს შევხვდი და ხელიც ჩამოვართვი, მერე კი ინგლისელები ორჯერ დავალეწოვე და ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე არ მეგულებოდა. პირველ რიგში ჩემს თავს და მერე მიტჩელს დავუმტკიცე, რომ ლელოს გატანა კიდევ შემიძლია. მიტჩელი მიხვდა, ჩამოსაწერი ჯერ არ ვარ".**

არადა მოსალოდნელი იყო, ლომუს ევროპული ვოიაჟი ლონდონშივე დასრულებულიყო. მატჩისშემდგომი ბანკეტიდან ლომუ საავადმყოფოში გააქანეს ნაწლავების გადახლართვით. **„მეცელი ისე მტკიოდა, სიმწრისგან ვღრიალებდი, აგონიაში ვიყავი. ექიმები თან გადამყვნენ, კიდევ კარგი, გადავრჩი და უელსთან და საფრანგეთთანაც ვითამაშე"**

ბრიტანეთში მოგზაურობისას ლომუ ორ შოუში მონაწილეობდა. პირველი იყო BBC-ის „შეკითხვა სპორტზე", მეორე — გრემ ნორტონის შოუ, რომელიც ირლანდიელ კომიკოსს ჯო ლაგერს მიჰყავს. ეს არის სალაყბო შოუ და ჯონა იყო პირველი მორაგბე, ვისაც ეყო სიმამაცე და ლაგერის ლაზღანდარულ კითხვებს არანაკლები ენაკვიმატობით უპასუხა. **„ძალიან ვისიამოვნე, როდესაც ვმონაწილეობდი შოუში „შეკითხვა სპორტზე", იქ წმინდა სარაგბო საუბარი გაიმართა და მაყურებელთა კითხვებსაც ვუპასუხე. ნორტონის შოუში კი იმ ირლანდიელმა კომიკოსმა კინაღამ შემშალა. მეკითხებოდა, ზედახორაში ვინმეს უკანალში თუ შეგიყვია თავი, ან სასირცხვო ადგილას თუ მოგიკიდია ხელიო. მერე ნელ-ნელა ავუღე ალღო და ლაგერი იქით ვალადავე. ბოლოს ორივე ვხარხარებდით. ამ გადაცემას საახალწლოდ აჩვენებენ ახალ ზელანდიაში და ხალხიც იხალისებს"** — ღიმილით იხსენებს ლომუ.

ლომუმ ახლახან განაცხადა, რომ თავის დიდი ხნის მეგობარ ქალთან, ტეინე სტეისისთან დაქორწინებას აპირებს. ეს ალბათ თებერვალში მოხდება, სანამ ზე-12 გახურდება. **„ტეინე ჩემი მესაიდუმლე და ყველაზე ახლო მეგობარია. იგი ყოველთვის გვერდში მედგა. გადავწყვიტეთ, დავქორწინდეთ. ალბათ მომავალ წელს ამაზე უკეთესი მოვლენით ვერ დავიწყებ. მერე რაგბიზე გადავერთვები და თავს მოვიკლავ, რათა ნაკრებში ადგილი მოვიპოვო. გაისად მსოფლიოს თასზე აუცილებლად უნდა ვითამაშო."**

ბევრი ჯონას საგაისო მსოფლიოს თასის შემდეგ „ოლ ბლექსიდან" წასვლას და ევროპაში გადაბარგებას უწინასწარმეტყველებს, რაზეც ჯონა ამბობს: **„ზოგჯერ მომაბეზრებელიც კია შენზე ათასი ჭორის და სიცრუის მოსმენა. ვკითხულობ გაზეთებს, ვუყურებ ტელევიზორს და მიკვირს გამოდის, რომ ჩემს გარდა ყველამ იცის, რას ვიზამ მომავალში. ერთადერთი, რაც ვიცი, ისაა, რომ რაგბის კიდევ რვა წელი მაინც ვითამაშებ და კარიერას ევროპაში არ გავაგრძელებ. ევროპაში თუ წავალ, მხოლოდ ტურისტად. ისე, განსაკუთრებით მომწონს პარიზი. შემოდგომაზე ელისეს მინდვრებზე ფეხშიშველმა გავიარე."**

ცოტა ხნის წინ ლომუ მცირე სკანდალში გაეხვა. საქმე ისაა, რომ ვინმე პოლ ვერდონმა გამოსცა წიგნი, რომელშიც 100 საუკეთესო შავკანიანი სპორტსმენის მინი-ბიოგრაფიაა დაბეჭდილი. წიგნის რეკლამის მიზნით ავტორმა 60 ცოცხლად დარჩენილ სპორტსმენს სთხოვა, წიგნში თქვენი ავტოგრაფებიც შევიტანოთო. 59-მა ხელი მოაწერა, ლომუმ კი თავისი ავტოგრაფით წიგნის დამშვენება იუარა. მერე ვერდონმა თქვა, ლომუ იმიტომ გაიბუტა, რომ ასეულში 23-ე სპორტსმენად დავასახელეო. **„ეს იყო ყველაზე ცუდი მომენტი ჩემს ცხოვრებაში. რას აღარ ლაპარაკობდნენ, ლომუ ამპარტავანიაო, თავში აუვარდაო, ათასი სისულელე- არადა, ნამდვილი მიზეზი ცოტამ თუ იცის. ჯერ ერთი, მე არ ვთვლი თავს ღირსად, ვიყო საუკეთესო შავკანიან სპორტსმენთა ასეულში და ამ ჟესტით პატივი ვეცი იმათ, ვისაც ეკუთვნოდა იქ მოხვედრა და მე მისი ადგილი დავიკავე. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ არ მინდა, ვინმესთვის სარეკლამო ობიექტად ვიქცე — ამბობს ლომუ და იქვე ამატებს — ცოტაც მაცალეთ და მე დავბრუნდები!"**



*ლიგის გეოგრაფია მართლაც გასაოცარია: ავსტრალიის გარდა ყველა კონტინენტის წარმომადგენელი ( სამხრეთ ამერიკისაც, აზიისაც, აფრიკისაც), სულ 22 ქვეყნის მოქალაქე იცავს ლიგის კლუბთა ღირსებას. და ეს ყველაფერი 10-15 წელიწადში მოხდა. 70-80-იან წლებში ხომ კანადელთა და აშშ-ის მოქალაქეთა გარდა თითო-ოროლა ფინელს, შვედსა და ჩეხს თუ შეხვდებოდით*

# NHL შესაქლოა, IHL გახდეს

## ლიგამ ფარშევანგის კუდი მოიქნია

სადღეისოდ 30 გუნდის განაცხადში მყოფი 729 ჰოკეისტი ასე ნაწილდება:

384 კანადელი, 101 შტატებიდან, 61 ჩეხი, 49 შვედი, 47 რუსი, 31 ფინელი, 26 სლოვაკი, 6 გერმანელი, 5 ლატვიელი, 3 უკრაინელი, ორ-ორი ლიტველი, ყაზახი, ინგლისელი და შვეიცარიელი, თითოთითო ბელარუსი, ნორვეგიელი, პოლონელი, სამხრეთაფრიკელი, კორეელი, ბრაზილიელი, ირლანდიელი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბრუნეელიც (!) კი.

ცხადია, ყველაზე დიდ ინტერესს სწორედ კინკილა მოთამაშით წარდგენილი ქვეყნები იწვევენ. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ მათგანს ჰოკეისთან არანაირი კავშირი არა აქვს. თუმც სამი ქვეყნის წარმომადგენლები მხოლოდ პასპორტით თუ ეკუთვნიან თავიანთ სამშობლოს. პირველი სამხრეთაფრიკელი, ვაშინგტონის ცნობილი მეკარე ოლიფ კოლციგია. იგი ბავშვობიდანვე გერმანიაში იზრდებოდა და ნჰლ-ში წასვლამდე სწორედ ამ ქვეყნის ღირსებას იცავდა. მეორე სან ხოსეს ირლანდიელი კაპიტანი ოუენ ნოლანი გახლავთ, რომელსაც სამშობლო ასევე ბუნდოვნად ახსოვს და კანადის მოქალაქეცაა. კანადის ნაკრებშიც ხშირად უთამაშია. აი, მესამე კი ბრუნეელი, არცთუ ცნობილი კაროლინელი კრეიგ ადამსია.

ბრაზილიელ რობინ რეჟერს და კორეელ რიჩარდ პარკს გაცილებით ბევრი რამ აკავშირებთ სამშობლოსთან, ვინაიდან ციგურებზე სწორედ იქ დადგნენ და ჩრდილოამერიკაში გაცილებით გვიან გადაბარგდნენ. პარკი 1992 წელს პიტსბურგის რიგებში თასის მფლობელიც გახდა. დანარჩენი სამი ქვეყნის წარმომადგენლები ბელარუსი რუსლან სალეი, პოლონელი მარიუშ ჩერკავსკი და ნორვეგიელი ესპენ კნუტსენი არიან. მათ სამშობლოში კი ჰოკეი უცხო ხილი სულაც არ არის.

ალბათ დაგაინტერესებთ, როგორ არიან განაწილებულნი ამა თუ იმ ქვეყნის მოთამაშეები კლუბების მიხედვით. ყველაზე შვედური გუნდი ვანკუვერია, სადაც 5 ვიკინგია, მათ შორის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე მარკუს ნესლუნდი. ყველაზე ჩეხური გუნდი კვლავაც პიტსბურგია, თუმც თუ ადრე ჩეხების ოდენობამ 10-ს უწია, ახლა 6-მდე შემცირდა. ყველაზე მეტი, 5 რუსი ჩიკაგოსა და დეტროიტშია, ხოლო 3 ფინელი ერთბაშად 4 გუნდშია. ამდენივე სლოვაკი ორ გუნდში, ფლორიდასა და ფინიქსშია. სხვათა შორის, სწორედ ფლორიდაა ყველაზე ევროპული გუნდი ლიგაში. განაცხადის 24 ჰოკეისტიდან 15(!) ბებერი კონტინენტის წარმომადგენელია.

როგორც ხედავთ, კანადელების და ამერიკელების დომინირებას უკვე საფრთხე ემუქრება. თან თუ უფრო ღრმად ჩავხედავთ საქმეს, ზოგიერთი არცთუ ძირძველი კანადელი და ამერიკელია. თუნდაც ფინიქსელი რამზი აბიდი ავიღოთ, რომელიც სულ ახლახან გამოჩნდა სარბიელზე. იგი კანადის მოქალაქეა, მაგრამ არაბული ფესვები აქვს. ანაც დედით იაპონელი ანაჰაიმელი პოლ კარია და ბილ გერინი, რომელიც ათიოდე წლის წინ ნიკარაგუას მოქალაქე იყო. აღარაფერს ვამბობთ იმ მრავალრიცხოვან შავკანიანზე, რომელთა დიდი ნაწილიც სულ ახლახან გაამერიკელდა.



რიჩარდ პარკი

თქმა არ უნდა, ყველაფერი აირია ლიგაში, რომელიც ნაციონალური ჰოკეის ლიგის სახელს ატარებს. როგორც ჩანს, საქმე კიდევ უფრო შორს წავა. შესაძლოა, ინტერნაციონალური ლიგისკენ.

**სამველ ლარიბიანი**



# საშობაო განცდები

შობას წყალში ჩასვლა დიახაც, მავანთა ნაცადი წესია. ტანჯაჟიანი ბერლინელი წავები ორანკეს გაყინული ტბის ამომტვრეულში სულ შიშვლები ჩაცვენილან და შობაც აღუნიშნავთ. ამასობაში კი ვავანია ზაფხულია ავსტრალიაში, სადაც კოხტად გამომთვრალი ინგლისელი ტურისტები ოკეანის პირას ირუჯებიან.



# ღია ცის ქვეშ

სად გაახურებენ ახლა ამერიკულ ბურთაობას ღია ცის ქვეშ, თუ არა შუაგულ წყნარ ოკეანეში ამოზრდილ ჰავაის კუნძულებზე.
იქ ჰავაიბოული გაიმართა და ერთმანეთს ტულანესა და თავად ჰავაის მობურთავენი შეეჯახნენ ალოჰას სტადიონზე. კაი მზისვული იყო, ამ შობას.



# ცურვა თავსხმაში

შობის მეორე დღეს, თავსხმა წვიმაში დაიწყო სიდნეი-ჰობარტის საიალქნო რბოლა. მოშეჯიბრეებმა 630 საზღვაო მილი უნდა გაცურონ სიდნეიდან ტასმანიის კუნძულებამდე. მაგრამ უამინდობამ მხედველობა წაუხდინა მენავეებს და იახტა „ვალეპუს" ფერდი დაუზიანდა „პეჟო რეისინვთან" შეჯახების გამო.





# სტვენა-სიცილი

„საკრამენტო კინგზმა" 105:93 მოუგო „ლოს ანჯელეს ლეიკერსს". ეს მონდომებით მსტვენავი ზორბა კაცი სწორედ „კინგზის" პატრონი გევინ მალუფია, რომელიც სტვენით საჯარიმო ხაზზე მდგომი შაკილ ონილის დაბნევას ცდილობს. გაცინებული კაცი კი პატრონის ძმა ჯო გახლავთ. ყოველთვის კარგია, როცა შენი ძმა მილიონერია, ის ღელავს, შენ კი იცინი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge